პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУзии и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 35 (10429)

შაბათი, 11 თებერვალი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

ღრმად გავაშუქოთ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება

მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება სოფლად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის ბრძოლის ნიშნით. მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი მუშაობაა გაჩაღებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტის ფარმატებით დამთავრებისათვის, კარგი თესლის მომზადებისათვის, მინდვრად ორგანული და მინერალური სასუქების გატანისათვის, ცოცხალი გამწევი ძალის მოვლის გაუმჯობესებისა და საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ყოველმხრივი მომზადებისათვის.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ამ ცხარე დღეებში მნიშვნელოვნად იზრდება რაიონული პრესის მამობილიზებელი და მაორგანიზებელი როლი. რაიონული გაზეთები მოვალენი არიან ღრმად, საქმიანად ასახონ თავიანთ ფურცლებზე კოლმეურნეობებისა და მტს-ების მუშაობა, აქტიურად ეხმარებოდნენ მათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების რეზერვების გამონახვაში, სისტემატურად წერდნენ მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილებაზე, იმ კოლმეურნეობებზე, სადაც ყველაზე უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს გაზაფხულისათვის მზადება. ამავე დროს გაზეთები გაბედულად უნდა ამხილებდნენ ნაკლოვანებებს და ქმედითად ეხმარებოდნენ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მათს აღმოფხვრაში, სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაფართოებაში.

ამ საპატიო ამოცანებს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონული გაზეთი კარგად ართმევს თავს. გაზეთი „ქარელის კოლმეურნე“ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხების სისტემატურად გაშუქებით, რაიონის მექანიზატორთა გამოცდილების ჩვენებით და თესვისათვის მზადებაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკით აქტიურად ეხმარება რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის მშრომელთა დარაზმვაში იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეობამ და მტს-მა საგაზაფხულო თესვა და შემდგომი საგაზაფხულო სამუშაოები შეასრულოს ორგანიზებულად, შემჭიდროებულ ვადებში, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე. გარკვეულ მუშაობას ეწევიან საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის გაშუქებისათვის წითელწყაროს, სიღნაღის და ზოგიერთი სხვა რაიონული გაზეთებიც.

მაგრამ ასე როდი ითქმის მთელ რიგ რაიონულ გაზეთებზე. წელს დუშეთის რაიონში შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტ ფართობზე უნდა დაითესოს სიმინდი, საგაზაფხულო ხორბალი, ქერი და სხვა მარცვლეული კულტურები. ეს გარემოება ავალებს რაიონულ გაზეთს „სტალინური გზით“ რაც შეიძლება მეტი ადგილი დაუთმოს თესვისათვის მზადების საკითხებს, მკაფიოდ განუმარტოს კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს წელს ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის გადიდებასთან დაკავშირებით მათ წინაშე წამოჭრილი ახალი ამოცანები, საქმიანად დაეხმაროს მათ საგაზაფხულო სამუშაოთა სანიმუშოდ ჩატარებაში. მაგრამ გაზეთი „სტალინური გზით“ ასე არ იქცევა. იგი ნაკლებ ადგილს უთმობს და უფერულად აშუქებს თესვისათვის მზადებას, იშვიათად აკრიტიკებს საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში ჩამორჩენილებს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხმას იმაღლებს ნაკლოვანებებზე, ვერ უჩვენებს მათს მიზეზებს, ერიდება კონკრეტულ დამნაშავეთა მხილებას. გულგრილად ეკიდებიან საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გაშუქებას აგრეთვე „სოციალისტური მემინდვრეობა“ (კაჭრეთი), „კომუნიზმის გზით“ (მცხეთა) და მთელი რიგი სხვა რაიონული გაზეთები.

ბევრ რაიონულ გაზეთს მზედველობიდან რჩება, რომ თესვის წარმატება პირველ ყოვლისა დამოკიდებულია კადრების მომზადებაზე. გაზეთები ფართოდ უნდა უჩვენებდნენ, თუ როგორ მომდინარეობს ადგილებზე საკოლმეურნეო კადრების აგროზოოტექნიკური სწავლება, ბრიგადებისა და რგოლების განმტკიცება საქმის მცოდნე კოლმეურნეებით, რა კეთდება სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის. რესპუბლიკის ბევრმა კოლმეურნეობამ შარშან სიმინდის მოყვანის მდიდარი გამოცდილება შეიძინა. ზამთრის ამ დღეებში კოლმეურნეები აგროზოოტექნიკურ წრეებში სწავლობენ სიმინდის თესვისა და დამუშავების პროგრესულ მეთოდებს. გაზეთები უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ კოლმეურნეებმა კარგად შეისწავლონ ადგილობრივ პირობებში სიმინდის მოყვანის ყველაზე შესაფერი აგროტექნიკა, დაეუფლონ კვადრატულ-ბუდობრივი თესვის ხერხებს. გაზეთებმა ამავე დროს თავიანთ ფურცლებზე ადგილი უნდა დაუთმონ სიმინდის მაღალი მოსავლის ოსტატთა წერილებს, რომლებშიც გადმოცემული გამოცდილება დიდად დაეხმარება კოლმეურნეებს შარშანდელთან შედარებით წელს სიმინდის უფრო მაღალი მოსავლის მიღებაში.

მთელი რიგი რაიონული გაზეთების ნაკლოვანებანი გაზაფხულისათვის მზადების გაშუქებაში მეტწილად იმით აიხსნება, რომ მათ ამ საქმეში ჩაბმული არა ჰყავთ ავტორთა ფართო აქტივი. გაზეთებში ნაკლებად ჩანს თესვისათვის მზადების უშუალო მონაწილეების — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, მოწინავე კოლმეურნეების, მექანიზატორების, აგრონომების წერილები. თესვისათვის მზადებისა და მისი ჩატარების პერიოდში გაზეთებმა უფრო ხშირად უნდა გამოიყენონ მასობრივი მუშაობის ნაკადი ფორმები, ავტორთა ფართო აქტივის მიზიდვით მოაწყონ რეიდები თესვისათვის მზადყოფნის, შემდეგ კი თესვის მიმდინარეობის შესამოწმებლად.

გაზეთებმა მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესონ საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების გაშუქება, სისტემატურად უჩვენონ ის შრომითი აღმავლობა და კოლმეურნე მასების შემოქმედებითი ინიციატივა, რაც გამოიწვია სოფლად ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მიმართვამ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი 1956 წელს ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ, აგრეთვე მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მოწოდებამ საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი — მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება სიმინდის უხვი მოსავლისათვის.

ადგილობრივი პრესა ქმედითად უნდა ეხმარებოდეს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა სანიმუშოდ მოწყობისათვის ყველა რეზერვის ფართო მობილიზაციაში. რაიონულმა გაზეთებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და მისი ჩატარების საკითხების გაშუქება, მკაფიოდ ასახონ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა შორის გაშლილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, კომუნისტთა ავანგარდული როლი მინდვრის სამუშაოებში, ფართო პროპაგანდა გაუწიონ სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილებას, ამხილონ მტს-ებისა და კოლმეურნეობების მუშაობის ნაკლოვანებანი, მიაღწიონ იმას, რომ მიმდინარე წლის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლის ამ მნიშვნელოვან ეტაპზე უნაკლოდ ხორციელდებოდეს აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

უღრმეს გულითად მადლობას ვუძღვნი ყველა ორგანიზაციასა და პირს, რომლებმაც მოლოცვა გამომიგზავნეს ჩემი დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავისა და საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მონიჭების გამო.

კ. ვოროშილოვი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ტ. კალჩენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ტ. კალჩენკოს დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურებისათვის ამხ. ნიკიფორე ტიმოთეს-ძე **კალჩენკო** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი, 1956 წ. 8 თებერვალი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მოუხდელი რძის პროდუქციის გამომუშავების გადიდებისა და ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის რძით მომარაგების გაუმჯობესების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რძის წარმოების გადიდების შედეგად გაიზარდა რძის პროდუქტების გამომუშავება. მაგრამ ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მოთხოვნილება რძესა და მოუხდელი რძის პროდუქტებზე ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება. სავაჭრო ქსელში რძის საკმაო რაოდენობის უქონლობა იმას იწვევს, რომ მთელი რიგი ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებზე რძის ფასები, განსაკუთრებით ზამთრის თვეებში, მნიშვნელოვნად აღემატება სახელმწიფო საცალო ფასებს.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო, სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია და სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისია სათანადოდ ვერ აფასებენ იმას, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად გადიდდეს მოუხდელი რძის პროდუქტების გამომუშავება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომარაგება რძით. რძე კი კვების აუცილებელი და მეტად ძვირფასი პროდუქტია, რომელზეც მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა. სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ რძისა და რძის პროდუქტების ვაჭრობის ორგანიზაციაში.

იმ მიზნით, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგება რძითა და მოუხდელი რძის პროდუქტებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. დაევალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიიღონ ღონისძიებანი მოუხდელი რძის პროდუქტების გამომუშავების მნიშვნელოვანი გადიდებისა და ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის რძით მომარაგების გაუმჯობესებისათვის, რათა 1956 და 1957 წლების განმავლობაში რძისა და მოუხდელი რძის პროდუქციის მოხმარება მთლიანად ჩვენი ქვეყნის ქალაქებში გადიდდეს სულ ცოტა ორჯერ 1955 წელთან შედარებით. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, რომ რძე, რომელიც დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმის გადამეტებით შემოდის და ადგილობრივი მომარაგებისათვის რჩება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში, გამოყენებულ იქნას უმთავრესად მოუხდელი რძის პროდუქციის გამოსამუშავებლად.

2. 1956 წელს რძისა და მოუხდელი რძის პროდუქტების (რძეზე გადაყვანით) გაყიდვა 55 ქალაქსა და განვითარებული მრეწველობის მქონე 8 ოლქში გადიდდეს 81 პროცენტით 1955 წელთან შედარებით, იმ მიზნით, რომ:

მკვეთრად გაუმჯობესდეს რძით და მოუხდელი რძის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება, რათა ძირითადად დაკმაყოფილდეს ამ პროდუქტებზე მოთხოვნილება სახელმწიფო ვაჭრობის მეშვეობით ქალაქებში: მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ბაქოში, სვერდლოვსკში, ხარკოვში, გორკში, ტაშკენტში, კუიბიშევში, ნოვოსიბირსკში, თბილისში, სტალინოში, ჩელიაბინსკში, რიგაში, დნეპროპეტროვსკში, დონის როსტოვში, ყაზანში, მოლოტოვში, სარატოვში, სტალინგრადში, ომსკში, ვორონეჟში, მინსკში, მაკეევკაში, ლვოვში, იაროსლავლში, ერევანში, ზაპოროჟიეში, სტალინსკში, ალმა-ატაში, ყარაგანდაში, ივანოვოში, ნიჟნი ტაგილში, მაგნიტოგორსკში, ტულაში, კრივოი როგში, უფაში, კრასნოიარსკში, ირკუტსკში, ხაბაროვსკში, კემეროვოში, ვლადივოსტოკში, ტალინში, ვოროშილოვგრადში, იჟევსკში, ბარნაულში, კალინინში, ვილნიუსში, ფრუნზეში, ულიანოვსკში, კიშინიოვში, შახტში, აშხაბადში, პეტროზავოდსკსა და სტალინაბადში;

მოსკოვის, სვერდლოვსკის, სტალინოს, ვოროშილოვგრადის, ჩელიაბინსკის, კემეროვოს, მოლოტოვისა და გორკის ოლქებში, ქალაქებსა და ოლქებს-ლო ცენტრებში რძისა და მოუხდელი რძის პროდუქტების გაყიდვა გადიდდეს 1,5—2,5-ჯერ.

ამასთან ერთად დაევალათ შეიმუშაონ წინადადებანი ერბო-კარაქისა და ყველის წარმოების გადიდების შესახებ.

3. მიეცეს სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს 1956 წლისათვის დამატებითი დავალება გამოუშვას მოუხდელი რძის პროდუქცია 1 მილიონი ტონის რაოდენობით (რძეზე გადაყვანით).

4. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს 1956 წლის 1 მარტამდე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცონ იმ რაიონების დამატებითი სია, საიდანაც რძეს უნდა აწვდიდნენ მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ ქალაქებში რძისა და მოუხდელი რძის პროდუქტების გაყიდვის დაწესებულ დავალებათა მიხედვით.

5. იმ რაიონებში რძის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულების სტიმულირების მიზნით, რომლებიც რძეს აწვდიან ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებს, დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საბაზრო ფონდებიდან გამოჰყოს 1956 წელს 300 ათასი ტონა კონცენტრირებული საკვები იმ მიზნით, რომ დაწესებული ნორმების მიხედვით შემხვედრი ვაჭრობის წესით მიჰყიდოს მოქალაქეებს მათ მიერ ქალაქებში სახელმწიფოსათვის მიყიდული რძის სანაცვლოდ სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

6. დაევალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს:

ა) მიაწოდოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მოუხდელი რძის პროდუქტების საერთო რაოდენობიდან:

რძე სულ ცოტა 55 პროცენტი; დიეტური რძის პროდუქტები 240 ათასი ტონა; ნაღები 0,25 ლიტრი ტევადობის ბოთლებით დაფასოებული ნაღების საერთო რაოდენობის სულ ცოტა 50 პროცენტი;

ბ) 1956 წელს გაადიდოს რძის გამოშვება ქაღალდის პარაფინებული ბოთლებით მოსკოვში 30 ტონამდე დღეში, ლენინგრადში 30 ტონამდე და კიევში 15 ტონამდე დღეში, აგრეთვე მოაწყოს რძის გამოშვება 0,25 ლიტრი ტევადობის მინის ბოთლებით სასკოლო ბუფეტებისათვის.

7. დაევალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სავაჭრო ქსელსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში რძისა და რძის პროდუქტების ცენტრალიზებული მიტანის ორგანიზაციის შესახებ.

8. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში რძის პროდუქტების ფართო ვაჭრობის უზრუნველსაყოფად 1956 წლის პირველ ნახევარში დამატებით გახსნას 120 სპეციალიზებული რძის მაღაზია, 1.000 განყოფილება რძისა და რძის პროდუქტების გასაყიდად სასურსათო მაღაზიებში, 150 პავილიონი და ფარდული მაცივარი მოწყობილობით რძის გასაყიდად დიდ საცხოვრებელ მასივებში და 100 კაფე-სარძეო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში დაშვებული დარღვევების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ დაშვებულია ზოგიერთი დარღვევა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში. რაისაბჭოების აღმასკომებს არა აქვთ დასახლებული პუნქტების ზუსტი სიები, აღმასკომის სათანადო გადაწყვეტილების მიუღებლად აუქმებენ და იღებენ დასახლებული პუნქტების სიებიდან იმ სოფლებს, რომელთა მოსახლეობა გადასახლდა სხვა ადგილებში საცხოვრებლად, უცვლიან სოფელს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებას ერთი საბჭოდან გამოყოფით და მეორე საბჭოსათვის მისი მიკუთვნებით, გადააქვთ სასოფლო ცენტრი ერთი სოფლიდან მეორეში, სახელწოდებას უცვლიან საბჭოს ან სოფელს. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის დარღვევაა აგრეთვე ისეთი ფაქტები, რომ აღმასკომები რამდენიმე სოფელს აერთიანებენ ერთ სოფლად, ან, პირიქით, ერთ სოფელს ყოფენ ორ სოფლად; სოფლის უბანს აცხადებენ ცალკე სოფლად და შეაქვთ იგი დასახლებული პუნქტების სიაში, კოლმეურნეობების გაერთიანების შემთხვევაში აერთიანებენ სოფლებსაც და მექანიკურად აუქმებენ გამსხვილებულ კოლმეურნეობასთან შეერთებულ სოფლებს.

ჩოხატაურის რაისაბჭოს აღმასკომმა თავისი გადაწყვეტილებით დასახლებული პუნქტების სიიდან ამოიღო და სხვა სოფლებს შეუერთა სოფლები გურისტყე, ჩაკიტოური, შველაურ-ციციბაური, წითელგორა, შრომის უბანი და განთიადი. ადგილობრივი შემოწმებით გამოირკვა, რომ ამ სოფლების გაერთიანება არაფერით არ არის დასაბუთებული და ეწინააღმდეგება სოფლების გეოგრაფიულ განლაგებას და მოსახლეობის სურვილს.

ჭიათურის რაისაბჭოს აღმასკომმა თავისი გადაწყვეტილებით სოფლები ვაკევი, კვახაჯელეთი, ჯოლხეეთი, წყალშავი, უსახელო, ბეგიაური, ზედარგანი, ქბილარი და სხვები გააუქმა იმიტომ, რომ ამ სოფლების კოლმეურნეობები გაერთიანებული არიან სხვა სოფლების კოლმეურნეობებთან.

ტყიბულისა და ახმეტის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა დასახლებული პუნქტების სიებში შეიტანეს სოფლები ლაშია და ქორთაბუდე, რომლებიც, მოსახლეობის სხვა ადგილებში დასახლების გამო, სხვადასხვა დროს გაუქმებულ იქნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით.

1949-1954 წლების განმავლობაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თხუთმეტი სოფლის მოსახლეობა მთლიანად გადასახლდა ახალ საცხოვრებელ ადგილებში. მაგრამ შესაბამის რაიაღმასკომებსა და საოლქო საბჭოს აღმასკომს არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ ამ სოფლების გაუქმების შესახებ.

ზუგდიდის, ქარელის, თერჯოლის, ადიგენისა და სხვა რაიონული საბჭოების აღმასკომებმა თვითნებურად ბოახდინეს ადმინისტრაციული ცვლილებები და გადაიტანეს სოფლები ერთი სასოფლო საბჭოდან მეორე სასოფლო საბჭოში.

მესტიის, გეგეჭკორის, ჭიათურის, ზესტაფონისა და წალენჯიხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს ერთი და იგივე სოფელი დასახლებული პუნქტების სიებში შეაქვთ ხან ერთ სოფლად, ხან ორ სოფლად. მათივე სიებში შეაქვთ ცალკე სოფლად ისეთი სოფლები, რომლებიც წარმოადგენენ სოფლების მხოლოდ ნაწილს, მათს უბნებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გმობს ზოგიერთი აღმასკომის მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში დაშვებულ შეცდომებს და ამ შეცდომების გამოსწორების მიზნით ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რისთვისაც:

ა) მოკლე დროში დააზუსტონ სოფლების რაოდენობა და წინათ დადგენილი მათი სახელწოდებები; შემდეგში არ დაუშვან სოფლების სახელწოდებათა შეცვლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაუკითხავად;

ბ) არ დაუშვან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების მოხდენა, სანამ წინასწარ არ შეისწავლიან საკითხს და არ იქნება აღმასკომის შესაბამისი გადაწყვეტილება, დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ;

გ) ადგილობრივ შესაბამისი შემოწმების შემდეგ მიიღონ ღონისძიებანი იმ სოფლების გაუქმების გასაფორმებლად, რომელთა მოსახლეობა მთლიანად გადავიდა საცხოვრებლად სხვა ადგილებში;

დ) გადასინჯონ კოლმეურნეობების გაერთიანების დროს სოფლების გაერთიანების შემთხვევები და მიიღონ ღონისძიებანი შეცდომით გაუქმებული სოფლების აღსადგენად;

ე) დასახლებული პუნქტების სიების შედგენის დროს არ დაუშვან სოფლის ნაწილის — უბნის ცალკე სოფლად, აგრეთვე ერთი სოფლის ორ სოფლად ან, პირიქით, ორი სოფლის ერთ სოფლად აღრიცხვა.

2. რჩევა მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და დასახონ სათანადო ღონისძიებანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

(საქდესი).

ახალგაზრდა ინჟინერი ზაურ მარღიშვილი

—მაშ თანახმა ხარ, ზაურ?—ჰკითხა დირექტორმა მარღიშვილს.

თანახმაო? თანახმა კი არა, დიდად მოხარულიც არის ზაურ მარღიშვილი. მაგრამ როგორ გამოხატოს ეს გრძნობა.

მოულოდნელად დირექტორს პარტიის საქალაქო კომიტეტში გამოუძახეს. ზაურიც უკან გამოჰყვა, მაგრამ დირექტორმა დაბრუნა, — მანდ იჯექი, სულ მალე დავბრუნდებიო.

მარტო დარჩენილ ზაურს თვალწინ დაუდგა მოსკოვი. საფეიქრო ინსტიტუტი. ამხანაგები. საწარმოო პრაქტიკა ლენინგრადში. კიროვის სახელობის საფეიქრო კომბინატის ვრცელი, ნათელი კორპუსები. რუსი ფეიქრების გულთადი, ძმური დახმარება. უკვირდა, რომ ყველგან სიდინჯესა და დაკვირვებას ურჩევდნენ. ერთხელ ეწყინა კიდეც: რას გადამეკიდნენ ეს დალოცვილები. მერე გაიფიქრა, ალბათ ჭარბად ვამეღვრენ ჩვენებურ ტემპერამენტსო.

— არა უშავს რა, ზაურ, ნუ ფიცხობ,—უთხრა მაშინ სართავი ფაბრიკის გამგემ ლევ კოგანმა, — სამაგიეროდ დამოუკიდებლად მუშაობა გაგიადვილდება.

გურამიშვილიც რომ იცოდა იმ კაცმა — ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილიო... — თბილისშია თურმე ნამყოფი.

— ბოლოს მომიგონებ. თუ ასე არ იყოს, მერე მისაყვედურე. წერილებს ხომ მომწერ?

იმ დროს გორში საფეიქრო კომბინატი ჯერ ისევ შენდებოდა და ჩვენი ქვეყნის მსხვილ საფეიქრო საწარმოებში, მოსკოვისა და ლენინგრადის ინსტიტუტებში მქსოველთა და მრთველთა ეროვნული კადრების მომზადება ჯერ დამთავრებული არ იყო.

ახსოვს ზაურს, როგორი სიყვარულით გამოაცილეს რუსმა მეგობრებმა: არ დაგვიწყოო.

და აი, ზაურ მარღიშვილი გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში ცვლის უფროსად იწყებს მუშაობას. პირველ დღეებში ცოტა დაიბნა. ყველაფერი ეუცხოვა, მაშინვე მოაგონდა რუსი ფეიქრის დარიგება: ყოველივე ეს შემდგომ მუშაობას გაგიადვილებს, საჭიროა მეტი სიდინჯე და დაკვირვებაო. სწორედ პირველი წერილი და პირველი მადლობა ზაურმა მაშინ მისწერა ლენინგრადელ ფეიქრებს.

ეს იყო 1953 წელს.

გადიოდა დრო... ზაურმა მთელი კოლექტივის პატივისცემა დაიმსახურა. ახალგაზრდა ინჟინერი სართავი საამქროს უფროსად დაწინაურეს.

ამას წინათ კომბინატში ცნობა მოვიდა: ჩებოქსარში მოწინავე საფეიქრო საწარმოთა მუშაკების საკავშირო თათბირი გაიმართება და იქ გორელთა წარმომადგენლებიც უნდა წავიდნენო. სწორედ ამისთვის გამოიძახა დირექტორმა დღეს ზაური და იმ თათბირზე მოხსენების გაკეთება დაავალა. მერე და განა ცოტა აქვთ სათქმელი გორელებს! აი თუნდაც 170 ნომრის ძაფის ათვისების შესახებ რამდენი რამ საინტერესოს თხრობა შეუძლია. განა საყურადღებო არ არის, რომ „პ-66“ მარკის საქსოვ მანქანებზე 170 ნომრის ძაფის გამოშვება საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოს ფეიქრებმა ითვისეს!

პირველად მაღალი ნომრის ძაფის მიღება 19 ნომერი ფთილიდან სცადეს 35 მილიმეტრის რგოლებიან სართავ დაზგაზე. დიდი იყო წყვეტიანობა, ძაფი უხარისხო გამოდიოდა. ამან ჩააფიქრა ინჟინრები. წყვეტიანობა რომ აღეკვეთათ, ფთილის გაწელვა და ნართის ჭინვა უნდა შეემცირებინათ. ამიტომ შემდეგ სასურველი ნომრის ნართის მიღება სცადეს 24 ნომრის ფთილიდან 29 მილიმეტრს რგოლებიან სართავ მანქანაზე. ფეიქრებმა კარგად იცოდნენ, რომ რაც უფრო დიდია ფთილის ნომერი, გაწელვა მცირეა, და რაც უფრო პატარაა რგოლის დიამეტრი — ჭინვა ნაკლებია. ამ ცდამ იმედი გაამართლა. ეს იყო ახალგაზრდა ფეიქართა დიდი გამარჯვება!

საერთოდ წყვეტიანობის აღკვეთაშიც გვაქვს პატარა გამოცდილება, — გაახსენდა ზაურს.

სართავი მანქანის წარმადობაზეც რომ ალაპარაკონ? ზაურს აქაც აქვს სათქმელი. საშუალოდ საათში თუ გეგმით ყოველ ათას თრისტარზე 495 კილონომერი ძაფი უნდა დართულიყო, 505 კილონომერი დართეს.

ვთქვათ მკითხეს, როგორ მიიღწიეთო. ვეტყვი: მანქანების წესიერი პროფილაქტიკით, საამქროში ტემპერატურისა და ჰაერის სინოტივის დაცვით, ეს არის და ეს. სათქმელად რა ადვილია. სანამ ამას მივაღწევდით რამდენი ვიწვალეთ?

...დირექტორმა კარი შემოაღო, ზაური შეკრთა, ფიქრებიდან გამოერკვა.

— თანახმა ვარ, თანახმა ვარ, — უთხრა ზაურმა დირექტორს, — მადლობა გადაუხადა ნდობისათვის და გამოვიდა კაბინეტიდან.

• • •

ამას წინათ იგი დაბრუნდა ჩებოქსარიდან. იქ თათბირზე თქვა ყველაფერი, რასაც ფიქრობდა, კარგიც, ნაკლიც; არაფერი დაუმალავს.

დაბრუნებულ ინჟინერს გასახარელი ამბავი დახვდა. პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტში წაიკითხა, რომ მეექვსე ხუთწლეულში უნდა ამოქმედდეს გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგი, კომბინატმა სრული სიმძლავრით უნდა იმუშაოს.

ზაურ მარღიშვილი ახლა შრომითს ვახტზე დგას, თავგამოდებით იბრძვის პარტიის XX ყრილობის დირსეული შეხვედრისათვის.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: ზაურ მარღიშვილი და მრთველი ევგენია სამადალაშვილი.

ფოტო შ. კუკულავასი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილოგის აღსანიშნავად

დიად სამუშაოთა საბრძოლო პროგრამა

აგიტატორის საუბარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შესახებ

ამ დღეებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა ქართველ მეტალურგთა ქალაქში — რუსთავში.

რუსთავის მეტალურგები პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევენ მეტი ფოლადის, თუჯის, ნაგლინისა და მილების გამომშვებისათვის ბრძოლაში.

— იანვარი უხვი „მოსავლის“ თვე იყო, — ღიმილით ამბობენ მეტალურგები, — მაგრამ თებერვალი კიდევ უფრო ბარაქიანი, მაღალნაყოფიერი შრომის თვეა!

და ასეც არის! თებერვლის პირველ ათ დღეში ქარხნის ყველა საამქრომ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო გეგმა. განსაკუთრებით დაწინაურდა მარტენის საამქროს კოლექტივი.

მეტალურგები უდიდესი ინტერესით ეცნობიან და სწავლობენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. საამქროებში, უბნებსა და ცვლებში მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები გულდასმით, საქმიანად განიხილავენ დირექტივების პროექტს და იღებენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს. მაგრამ ისინი მარტო ვალდებულებათა აღებით როდი კმაყოფილდებიან, პატრიოტული თავდადებით შრომობენ დირექტივების პროექტით დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ქარხნის აგიტატორები ყოველდღიურად განუმარტავენ მეტალურგებს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, ცოცხლად, საინტერესოდ ესაუბრებიან დირექტივების პროექტის შესახებ, რომელსაც საბჭოთა ადამიანები სიამაყით უწოდებენ კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას.

ქვემოთ ვბეჭდავთ ერთ-ერთი ასეთი საუბრის ჩანაწერს დირექტივების პროექტის შესახებ. ეს საუბარი მარტენის საამქროს მეფოლადეებთან მოაწყო ამ დღეებში ცვლის უფროსმა, აგიტატორმა **ტ. გველესიანმა.**

* * *

— ამხანაგებო! დღეს ჩვენ იმისათვის შევიკრიბეთ, რომ ვისაუბროთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შესახებ.

ამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები. დირექტივების პროექტის ყოველ სტრიქონში ისინი ხედავენ ჩვენს დიდებულ ხვალინდელ დღეს.

კომუნისტურმა პარტიამ ჩვენს ხალხს შემდგომი წინსვლისა და განვითარების დიადი ამოცანები, ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა დაუსახა. **სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განახორციელოს ეროვნულ-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიაღწიოს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.**

ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება მოასწავებს სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერებისა და მისი უძლეველი თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელ ზრდას, რაც დიდი წვლილი იქნება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის შემდგომი განმტკიცების საქმეში. სწორედ ამაში მდგომარეობს დირექტივების პროექტის უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა.

სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგი

დირექტივების პროექტში მკაფიოდ გამოხატულება ჰპოვა დიდი ლენინის ანდერძმა მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების შესახებ. მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახულია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის — სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის — ახალი მძლავრი აღმავლობა. განსაზღვრავს რა სამრეწველო პროდუქციის ზრდას მეექვსე ხუთწლედში დაახლოებით 65 პროცენტით, დირექტივების პროექტი ითვალისწინებს წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდას დაახლოებით 70 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოების ზრდას დაახლოებით 60 პროცენტით. აქედან ნათლად ჩანს ჩვენი პარტიის პოლიტიკა — პირველ რიგში განავითაროს მძიმე მრეწველობა, კერძოდ მისი ის დარგი, რომელიც იძლევა ლითონს, მანქანებს, სათბობს და წარმოების სხვა საშუალებებს.

თქვენ იცით, რომ ლითონს დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობაში, რაც უფრო მეტ ლითონს დაამზადებს ქვეყანა, მით უფრო მტკიცე იქნება მისი ეკონომიკა. სწორედ ამიტომ დირექტივების პროექტში გათვალისწინებულია ლითონის წარმოების მკვეთრი გადიდება.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ 1960 წელს. ამ დროისათვის თუჯის გამოშვება გადიდდება 53 მილიონ ტონამდე, ფოლადისა — 68,3 მილიონ ტონამდე, ნაგლინისა — 52,7 მილიონ ტონამდე. 1955 წელთან შედარებით მძიმე მრეწველობის პროდუქციის ზრდა მიაღწევს: თუჯისა — 59 პროცენტს, ფოლადისა — 51 პროცენტს, ნაგლინისა — 52 პროცენტს.

ჩვენ ყველანი დიდი სიამაყის გრძნობით გავეცნით მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. დირექტივების პროექტით დასახულია მძიმე მრეწველობის განუხრელი აღმავლობის ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენი ქარხნის კოლექტივმაც. საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ცვლის უფროსი ტ. გველესიანი ესაუბრება მეფოლადეებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის შესახებ. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★ ★

დირექტივების პროექტში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. მეექვსე ხუთწლედი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის ხუთწლედი იქნება.

გათვალისწინებულია 1960 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი აყვანილ იქნას 180 მილიონ ტონამდე (11 მილიარდ ფუთამდე), უზრუნველყოფილ იქნას ხორცის წარმოების ზრდა 2-ჯერ, რძის, კარტოფილისა და მატყლისა — თითქმის ორჯერ, ბოსტნეულისა — ორჯერ და უფრო მეტად. მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს ბამბის, სელის, შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოება.

ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ნათელი გამოხატულება

დირექტივების პროექტი უდიდეს ღონისძიებებს ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და საწარმოო ძალების სწორი განლაგებისათვის. ამ ღონისძიებებში ნათელი გამოხატულება ჰპოვა კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურმა მეგობრობამ. ამით აიხსნება, რომ სსრ კავშირის ხალხები, ძმური მეგობრობის სულისკვეთებითა და სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეო შრომით შემჭიდროებულნი, პატრიოტული მგზნებარებით იბრძვიან კომუნისტური პარტიის მიერ დასახული დიადი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

საქართველოს მშრომელები დიდი პატრიოტული სიამაყის გრძნობით სწავლობენ და განიხილავენ დირექტივების პროექტს, ღრმად უფიქრდებიან მის შინაარსს, თვითეულ ციფრს, გულდასმით ეცნობიან მაჩვენებლებს, რომლებშიც დასახულია ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობა. დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია ხუთწლედის მანძილზე 1,6-ჯერ გადიდდეს როგორც მთელი მრეწველობის, ისე რესპუბლიკური მრეწველობის საერთო პროდუქცია. დიდი ამოცანებია გადასაწყვეტი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში. მწყობრში ჩადგება ლაჯანურის, ხრამის № 2, ტყიბულის და გუმათის ჰიდროელექტროსადგურები, უნდა დაიწყოს მშენებლობა დარიალჰესისა თერგზე და ახალი ჰიდროელექტროსადგურისა რიონზე. ამუშავდება გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგი, დაიწყება გროზნო-თბილისის გაზსადენის მშენებლობა.

დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია მიბაღეობის, მეაბრეშუმეობის, ჩაის, თამბაქოსა და ციტრუსოვანთა ნაყოთის წარმოების შემდგომი განვითარება. 1960 წელს 1955 წელთან შედარებით მარცვლეულის წარმოება უნდა გადიდდეს დაახლოებით 1,3-ჯერ, ხორცისა—1,7-ჯერ, რძისა — 2-ჯერ, მატყლისა — 1,4-ჯერ. უნდა განხორციელდეს სარწყავი ქსელის მშენებლობა 40 ათას ჰექტარ ფართობზე და ამოსაშრობი ქსელისა 10 ათას ჰექტარ ფართობზე. დამთავრდება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

ეს შესანიშნავი ციფრები მკაფიოდ მეტყველებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივ მზრუნველობასა და ყოველდღიურ დახმარებაზე, უფროს ძმასთან — დიდ რუს ხალხთან, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ქართველი ხალხის მტკიცე, ნაყოფიერ, უანგარო მეგობრობასა და ძმობაზე.

— სწორედ ხალხთა მეგობრობამ ჩაუყარა საფუძველი, ააშენა და ააყვავა ჩვენი მშობლიური რუსთავი, — ჩაერია საუბარში მეფოლადე **ამირან ფანცულაია.** — ხალხთა მეგობრობა ჩვენი წარმატებების საწინდარია!

აი მრავალთაგან ერთი ფაქტი. ჩვენ, მეფოლადეებს, დიდხანს არ დაგვავიწყდება კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის უფროსი ოსტატი პრიგალოვი, რომელიც ამას წინათ რუსთავში იყო სტუმრად. მან ადგილზე შეგვასწავლა ღუმელის ქვედის დადუღების თავისი პროგრესული მეთოდი. ახლა პრივალოვის მეთოდის გამოყენებით თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად ვახორციელებთ ამ ოპერაციას.

ჩვენი ქარხანა ახალ ხუთწლედში

ამხ. **ტ. გველესიანი:** — მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ამიერკავკასიის რაიონებში მეტალურგიული მრეწველობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას. დღეს სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეხუთე ხუთწლედის მიერ დასახული ეს ამოცანა წარმატებით განხორციელდა.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა ამჟამად მთელი სიმძლავრით მუშაობს. უკანასკნელ წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი საბრძმედე ღუმელი, ამდენივე საკოქსე ბატარია, საადლომერაციო ფაბრიკა, წვრილსორტული საამქრო ორი დგანით, ფურცელსაგლინავი დგანი „2.100“.

ჩვენმა ქარხანამ 1955 წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 105 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა — 100,3 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდისა — 105,6 პროცენტით.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ვარაუდობს ქარხანაში თუჯის გამოშვება გაიზარდოს 1,6-ჯერ, ნაგლინისა — 1,5-ჯერ. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს აგრეთვე კოქსისა და ფოლადის წარმოება.

ასევე დიდი ამოცანებია დასახული დანარჩენ საწარმოთა კოლექტივების წინაშე. მაგალითად, აზოტოვანი სასუქების ქარხანაში მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის პროდუქციის გამოშვება 8-ჯერ უნდა გადიდდეს.

ლითონის წარმოების შემდგომი ზრდის ამოცანები ჩვენგან, მეტალურგებისაგან, მოითხოვს უაღრესად გადამწყვეტ მოქმედებას ყველა უბანზე და უწინარეს ყოვლისა მოწინავე ტექნიკის დანერგვის დარგში. საჭიროა მთელ რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გატარება, საამქროებში საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ განხორციელება.

მაგალითად, საბრძმედე საამქროს წარმადობის შემდგომი გადიდების მიზნით განზრახულია ღუმელები საკერძის ქვეშ გადაყვანილ იქნას მაღალ წნევაზე და ფლიუსნარევი აგლომერატის შემცველი კაზმის გამოყენებაზე. გადიდდება ცხელი დაბერვის ტემპერატურა, ამუშავდება მადანსაგრეიფერო მეორე ამწე. სამადნე ეზოს შესაბამისად გაფართოვდება საბუნკერო ესტაკადა, რეკონსტრუირებული იქნება წიდის გადასაღვრელი განყოფილება...

მნიშვნელოვანი პროგრესული ღონისძიებანი განხორციელდება აგრეთვე ჩვენს საამქროში. გადაწყვეტილია მარტენის ყველა ღუმელს გაუკეთდეს ქრომმაგნეზიტიანი გამძლე თაღი, გაფართოვდეს ბოყვების ეზო, 200 ტონამდე გადიდდეს სამსხმელო ამწეების ტვირთამწეობა, გადავიდეთ ღუმელების ორთქლით გაცივების სისტემაზე და მათი ტევადობა ავიყვანოთ 150 ტონამდე, ათვისებულ იქნას უანგბადის გამოყენებით ფოლადის გამოდნობის პროგრესული მეთოდი.

ყოველივე ეს ჩვენ, მეფოლადეებს, საშუალებას მოგვცემს შესამჩნევად ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და წარმატებით შევასრულოთ ჩვენი ვალდებულება — ახალ ხუთწლედში ორჯერ და უფრო მეტად გავადიდოთ ფოლადის წარმოება.

— მე მსურს შევნიშნო, — ამბობს **ოსტატი თ. ტაბიძე,** — რომ, მიუხედავად გეგმების შესრულებისა, ჩვენს მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. ყველას კარგად გახსოვთ გაზეთ „პრავდის“ 7 იანვრის მოწინავე წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ჩვენს საამქროში მოწყობილობის მოცდენა მეტად დიდია და იგი 16 პროცენტს შეადგენს.

მოწყობილობის რაციონალურად გამოყენების მხრივ, სამწუხაროდ, არც ახლა გვაქვს ყველაფერი რიგზე. მაგალითად, მეფოლადეებს საწიდე ციცხვების დაგვიანებით მიღების გამო ნადნობის გამოშვება ხშირად საათნახევრით უგვიანდებათ. მოცდენებს იწვევს აგრეთვე გასაწყობი მასალების საჭირო რაოდენობით მოუმარაგებლობა, ქარხნის მთავარი მექანიკოსის განყოფილების მიერ ავარიული დაკვეთების დიდი დაგვიანებით შესრულება.

ამხ. **ტ. გველესიანი:** — თქვენი შენიშვნები სამართლიანია. მართლაც, ნაკლოვანებები ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს.

ხშირად პროდუქციას დაკვეთილი მარკის მიხედვით ვერ ვუშვებთ, რითაც ვიწვევთ საგლინავი საამქროების არარიტმულ მუშაობას. ამასთან არის წუნის გამოშვების შემთხვევებიც. მოწინავე მეტალურგიულ ქარხნებთან შედარებით ჩვენთან არასაკმარისია ღუმელის თვითეულ კვადრატულ მეტრ ქვედზე ფოლადის გამოსავლიანობა, არადამაკმაყოფილებლად ხდება მოწინავე მეფოლადეთა გამოცდილების შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა.

მუშაობის ამ ხარვეზების აღმოფხვრისათვის უკვე დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი და მათი განხორციელება საქმეს წინ წასწევს.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისათვის

დირექტივების პროექტი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და აყვავებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიის განუწყვეტელი ზრუნვის კიდევ ერთი ახალი მკაფიო დადასტურებაა. მეექვსე ხუთწლედში ნაციონალური შემოსავალი (შესადარ ფასებში) გაიზრდება დაახლოებით 60 პროცენტით. დასახულია გადიდდეს მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი საშუალოდ დაახლოებით 30 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი საშუალოდ სულ ცოტა 40 პროცენტით.

სერიოზულად გაუმჯობესდება და მნიშვნელოვნად გაფართოვდება საბინაო მშენებლობა. ახალი ხუთწლედის განმავლობაში აშენდება დაახლოებით 205 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები ანუ თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში.

კიდევ უფრო გიგანტური ნაბიჯებით წავა წინ მეცნიერება, სახალხო განათლება, კულტურა. ამ მხრივ ჩვენში ცოტა რამ როდია გაკეთებული.

შორს რომ არ წავიდეთ, ამის ნათელსაყოფად მარტო ჩვენი მშობლიური ქალაქის — რუსთავის მაგალითიც კმარა, რუსთავისა, რომელიც ომისშემდგომ პერიოდში აშენდა, დამშვენდა და მსხვილ ინდუსტრიულ ქალაქად გადაიქცა. აქ ყველაფერია შექმნილი მეტალურგთა შეძლებული, ბედნიერი და კულტურული ცხოვრებისათვის.

ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდება რუსთავი. 1960 წელს დამთავრდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა დაახლოებით 180 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, სკოლები, კლუბები და საბავშვო დაწესებულებანი. აიგება მეტალურგთა სანატორიუმი.

საბჭოთა ხალხი პრაქტიკული საქმეებით უპასუხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. ჩვენი, მეფოლადეების, ამოცანაა თვითეულმა თაეის პოსტზე მაქსიმალურად გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები და ღირსეული წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

* * *

აგიტატორმა საუბარი დაამთავრა. ცვლა მუშაობას შეუდგა. და კვლავ ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა მეტი და მაღალხარისხოვანი ფოლადისათვის. შესანიშნავად იმუშავა ამ დღეს ტ. გველესიანის ცვლამ, მთლიანად მარტენის საამქროს კოლექტივმა. დღეღამის განმავლობაში მეფოლადეებმა ნაცვლად 14-15 ნორმისა 21 ნორმა განახორციელეს. სარეკორდო მაჩვენებელია! ასეთი საამაყო შედეგები უმაგალითოა ქარხნის ისტორიაში.

რუსთავის მეტალურგები კონკრეტული, პატრიოტული საქმეებით ახორციელებენ დიად სამუშაოთა გეგმას, რომელიც დასახულია მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ და ჩაწერილია დირექტივების პროექტში.

ვ. ივერიძე,
გ. გელაშვილი.

ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის გადაუდებელი საკითხები

პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით საქართველოს ჰიდროენერგეტიკოსი მშენებლების წინაშე უაღრესად პასუხსაგები ამოცანებია დასახული: მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში ელექტროენერგიის გამომუშავება უნდა გადიდდეს 1,8-ჯერ, ამუშავდეს ლაჯანურის, ხრამის № 2, ტყიბულის, გუმათის ჰიდროელექტროსადგურები და დაწყებულ იქნას თერგზე დარიალის ჰიდროელექტროსადგურისა და რიონზე ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

ჩვენი რესპუბლიკის მდინარეები იმის სრულ საშუალებას გვაძლევენ, რომ გამოვიმუშავოთ უამრავი იაფი ელექტროენერგია რესპუბლიკის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს თავისი ჰიდრორესურსების მარაგით ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. მაგალითად, რესპუბლიკაში ერთ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე საშუალოდ მოდის 162 კილოვატი ენერგეტიკული ჰიდროსიმძლავრე, რაც რამდენჯერმე აღემატება სსრ კავშირისათვის მიღებულ საშუალო ნორმას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აშენდა ასობით სასოფლო ჰიდროელექტროსადგური, მწყობრში ჩადგნენ დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მდინარეთა ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მაჩვენებელი ჯერ კიდევ დაბალი, თითქმის უმნიშვნელოა. ახლა რესპუბლიკაში, როგორც ცნობილია, მრავალი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური შენდება. მეექვსე ხუთწლედში ყველა ეს ენერგეტიკული ბაზა ამუშავდება, მაგრამ მაშინაც ჩვენში ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების პროცენტი დაბალი იქნება. იგი არსებული რესურსების 2,5 პროცენტს მიაღწევს.

ამჟამად გაჩაღებული ენერგეტიკული მშენებლობის მასშტაბი ბევრად სჭარბობს ყოველივე იმას, რაც საქართველოს ჰიდრომშენებლების დარგში დღემდე გაკეთებულა. მთავარი ის არის, რომ დავიჩქაროთ დაწყებული ენერგეტიკული ბაზების მშენებლობა, ამასთან გავაჩაღოთ მთელი რიგი ახალი, უფრო მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

რესპუბლიკაში ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის პროგრამით გათვალისწინებულ მთავარ სამუშაოთა შესრულება დაკისრებული აქვთ საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტს და მის სამშენებლო სამმართველოებს. გასულ 1955 წელს წინა წლებთან შედარებით ამ ტრესტის კოლექტივმა ცუდად როდი იმუშავა, მაგრამ მშენებლობის იმ დონემდე განვითარებას, რომელსაც მისგან მოითხოვენენ, მაინც ვერ მიაღწია.

გასული წლის ბოლოსათვის კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს მეორე ხრამჰესის მშენებლებმა, რომლებმაც სამშენებელო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა 116 პროცენტით შეასრულეს. კიდევ უკეთესად იმუშავა სიონმშენის კოლექტივმა, რომელმაც წლიური დავალება 131 პროცენტით გაანაღდა.

გუმათის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებმა გასულ წელს 100 ათასზე მეტი კუბმეტრი ბეტონის სამუშაო შეასრულეს. იყო ისეთი დღეები, როდესაც მათ შეძლეს 700-780 კუბმეტრი ბეტონის ჩასხმა დღეში და ამით ერთგვარი რეკორდი დამყარეს რესპუბლიკის ჰიდრომშენებლებს შორის.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ჩვენში მეტისმეტად ჭიანურდება და ამის გამო ზოგჯერ იფუშება ის ვადები, რომლებსაც მთავრობა აწესებს ამა თუ იმ ჰიდროელექტროსადგურის ასამუშავებლად. მშენებლობის გაჭიანურება იწვევს რესპუბლიკაში ელექტროენერგიის დეფიციტის გაღრმავებას, რასაც საგრძნობი ზიანი მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის. მაგალითად, გუმათის პირველი და მეორე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა დაწყებულ იქნა 1951 წელს, ტყიბულჰესისა და ბჟუჟჰესისა — 1950 წელს. ახლა უკვე 1956 წლის პირველი კვარტალია და ჯერ არცერთი ეს ჰიდროელექტროსადგური არ არის ამუშავებული.

მაშასადამე, ჰიდროენერგომშენებლების მთავარ და გადაუდებელი ამოცანაა აამაღლონ მუშაობის ტემპი, დაჩქარონ ჰიდროელექტროსადგურების ამოქმედება.

ენერგეტიკულ მშენებლობაში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებებიც. მაგალითად, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ისეთი პირობები, რომ ჩვენში ჰიდროსადგურის მშენებლობის გასაჩაღებლად წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები მაღალხარისხოვნად და დროულად შესრულდეს. ამაზე კი დამოკიდებულია მშენებლობის შემდგომი წარმატების ბედი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმ ობიექტზე, სადაც მოსამზადებელი სამუშაოები დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულეს, შეძლეს ძირითად სამშენებლო სამუშაოთა მოცემულ ვადებში და უფრო ადრე შესრულებაც. კახოკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე მოსამზადებელ სამუშაოთა წარმატებით შესრულების შედეგად მიაღწიეს იმას, რომ ეს სადგური დანიშნულ ვადაზე ერთი წლით ადრე ამუშავეს.

წელს საქართველოს ჰიდროენერგეტიკას მშენებლებს მეტად დიდი და პასუხსაგები ამოცანების შესრულება ეკისრებათ. მათ უნდა ამუშაონ ჯერ გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგური, მერე გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგური, ბჟუჟჰესი, ტყიბულჰესი, დაამთავრონ სათანადო სამუშაოები ლაჯანურჰესზე ცხენისწყლის ნაწილის გადმოსაგდებად რიონის ხეობაში და სხვ. მარტო იმისათვის, რომ გუმათის პირველი ჰიდროსადგური ამუშაონ, მშენებლებს დასჭირდებათ 178 ათასი კუბმეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოს შესრულება.

ასევე მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდებათ ტყიბულჰესის მშენებლებს, რომლებმაც წელს ამ საადგურის მიერ გამომუშავებული დენი უნდა მოგვცენ. ამისათვის საჭირო იქნება მშენებლებმა მოკლე დროში დაამთავრონ მიწაყრილის კაშხალის პირველი რიგი, შეუდგნენ წყალსაცავში წყლის დაგროვებას. მაგრამ მისი დაწყება ისე შეუძლებელია, თუ ახალ ადგილას არ გადაიტანეს წყალსაცავის ტერიტორიაზე არსებული ნაგებობანი. ამ სამუშაოთა შესრულებისათვის კი სათანადო ორგანიზაციები არ ზრუნავენ. მაგალითად, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის კომბინატს ახლა უკვე სხვაგან უნდა ჰქონდეს გადატანილი ტყიბულქვანახშირის ტრესტის სხვადასხვა მასალათა საწყობები. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრომ ახალი მიმართულებით უნდა გადიატანოს გზატკეცილი. მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება აქვს დავალებული ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტს, რომელიც აწარმოებს რკინიგზის საწრეტყიბულის შტოს გადატანას, მაგრამ იგი მეტად ჩამორჩება მის შესრულებაში. ტრესტის ხელმძღვანელებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ლაჯანურჰესის მშენებლებსაც წელს უაღრესად პასუხსაგები ამოცანა აქვთ დაკისრებული. მათ უნდა დაამთავრონ ერთ-ერთი მთავარი გვირაბის გაყვანა და ცხენისწყალზე სათავე ნაგებობათა აშენება, რომ გზა გაუხსნან ცხენისწყალს რიონის ხეობისაკენ. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ რიონის ხეობაში ცხენისწყლის გადაშვებით მდინარე რიონზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების ყოველწლიური გამომუშავება სულ ცოტა 100 მილიონი კილოვატსაათით გაიზრდება. უფრო გასაგებად რომ ითქვას, რიონის ხეობაში ცხენისწყლის დროულად გადაშვება რესპუბლიკის ელექტრობალანსისათვის საშუალო სიმძლავრის ერთი ახალი ჰიდროელექტროსადგურის აგებას უდრის.

საჭიროა ყველა პირობა შეიქმნათ ჩვენს ენერგეტიკოს მშენებლებს მიმდინარე წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის. პირველ რიგში უნდა ვაიძულოთ ის ორგანიზაციები, რომლებსაც ეს ევალებათ, თავიანთი ობიექტები ტყიბულისაკენ წყალსაცავის ტერიტორიიდან სხვა ადგილას გადიტანონ. საჭიროა, ამავე დროს, უმოკლეს ვადაში გაიწმინდოს წყალსაცავის აუზი, რომ არ დაგვიანდეს ჰიდროსადგურის ექსპლოატაციისათვის საჭირო წყლის მარაგის დაგროვება. იმ რაიონების მშრომელებმა, სადაც ახალი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები შენდება, მეტი შრომითი დახმარება უნდა გაუწიონ მშენებლებს.

ამ მხრივ მისაბაძი მაგალითი გვიჩვენებს ზანარაძის რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც მარტო შარშან ბჟუჟჰესის მშენებლობაზე 6.545 კაცდღის სამუშაო შეასრულეს.

ყველა ამ გადაუდებელი საკითხის მოწესრიგებით ჩვენ მივიღწევთ ენერგეტიკული მშენებლობის დაჩქარებას, ახალი ჰიდროელექტროსადგურების დანიშნულ ვადებში ამუშავებას, რაც იქნება მეექვსე ხუთწლედის ვადამდე შესრულების მნიშვნელოვანი საწინდარი.

გ. გაგუნია,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების ინსტრუქტორი.

ვალდებულება შესრულებულია

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). მაღალნაყოფიერი მუშაობის შედეგად განაღდებულია ვალდებულება, რომელიც გურჯაანის მტს-ის კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად იკისრა. მექანიზატორებმა შეაკეთეს 32 ტრაქტორი, რითაც გეგმას 5 ტრაქტორით გადააჭარბეს. დიდი წარმატებით გაანაღდეს აგრეთვე გუთნების, სილოსის საჭრელი მანქანების, კულტივატორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთების გეგმები.

ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად კარგად იმუშავეს ტრაქტორების შეკეთებაზე მომუშავეებმა კ. ზავრაშვილმა, გ. არუთინოვმა, ი. კორკოტაშვილმა. მათ ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულეს სარემონტო სამუშაოები.

გურჯაანელი მექანიზატორები გულდასმით გაეცნენ ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მიმართვას 1956 წელს ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მნიშვნელოვნად გადიდებისათვის, სახელმწიფოსათვის მათი ჩაბარებისა და მიყიდვისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ და იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

მტს-ის კოლექტივის პირობაა 1956 წელს ზონის კოლმეურნეობებში ყველა სახის ხორცის წარმოება, სახელმწიფოსათვის ჩაბარება და მიყიდვა გაორკეცდეს 1955 წელთან შედარებით, ერთიორად გადიდდეს მეცხოველეობის წველადობა.



სურათზე: ა. ჩალათაშვილი (მარჯვნივ) და გ. ბერიანიძე ტრაქტორის შეკეთების დროს. ფოტო შ. გოქაძისა.

ავამაღლოთ სასკოლო პარტიული ორგანიზაციების როლი

საბჭოთა სკოლა მოწოდებულია მოამზადოს ყოველმხრივ განათლებული, კულტურული და დისციპლინირებული ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის. ამ კეთილშობილურ საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულონ სასკოლო პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ამ მხრივ სწორად აქვთ გაგებული თავიანთი მოვალეობა სამტრედიის რაიონის სასკოლო პარტიულ ორგანიზაციებს. ქალაქის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების პარტიული ორგანიზაციები მხარში უდგანან სკოლის დირექციებს და მათთან ერთად იბრძვიან საყოველთაო სავალდებულო სწავლების წარმატებით განხორციელებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად ზრუნავენ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, მათი პედაგოგიური დახელოვნებისათვის. ასევე ითქმის სოფელ ილორის საშუალო, ეფრისა და მელაურის რვაწლიანი სკოლების პარტიულ ორგანიზაციებზე. აღნიშნულმა სკოლებმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევარი. საგრძნობლად შემცირდა ჩამორჩენილ მოსწავლეთა რაოდენობა.

პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ მიმართულებით, პარტიული ორგანიზაციების დახმარებით, პირველი ნაბიჯები გადადგეს სოფელ იანეთის, ქალაქის 1-ლი, მე-2 და სხვა საშუალო სკოლებმა. ქალაქის 1-ლ საშუალო სკოლაში სახელოსნოსათვის აგებენ კაპიტალური შენობას.

მაგრამ სასკოლო პარტიული ორგანიზაციების ერთი ნაწილი საკმარ ყურადღებას არ აქცევს სკოლებში პოლიტექნიკურ სწავლებას, მოსწავლეთა შრომითს აღზრდას, მთელი სასწავლო პროცესის ჯერჯერობით სიმაღლეზე დაყენებას. სასკოლო პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას მოწმობს ის ფაქტი, რომ სასწავლო წლის პირველი ნახევრის ბოლოსათვის რაიონის საშუალო, რვაწლიან და დაწყებითს სკოლებში 8.676 მოსწავლიდან 1.736 ოროსანი იყო, ხოლო 852 მეორეწლიანი მოსწავლიდან კვლავ ჩამორჩება 179.

სერიოზული ნაკლოვანებებია საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში. სკოლებიდან განთესილია 110 მოსწავლე. ზოგან მოუწესრიგებელია სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვა. ყოველივე ამას სასკოლო პარტიული ორგანიზაციები დუმილით უვლიან გვერდს.

სუსტად მუშაობენ სოფელ გომის, ჯულაშის ვ. სტურუას სახელობის, დიდი ჯიხაიშის, ოფეთის საშუალო, დაბლა გომის რვაწლიანი და სხვა სკოლების პარტიული ორგანიზაციები. დაბლა გომის რვაწლიანი სკოლის პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი ამხ. შ. ჩხაიძე) პარტიული კრებები მოუმზადებლად ეწყობა, მიღებული გადაწყვეტილებები ზერელე და ფორმალურ ხასიათს ატარებს. რა ფასი აქვს ისეთ პარტიულ კრებას, როგორიც აქ გასული წლის 15 ნოემბერს გაიმართა. ამ კრებაზე პირველი მეოთხედის შედეგების შესახებ მოისმინეს სკოლის დირექტორის მოხსენება, ხოლო საკითხის „განხილვაში“ მარტო სასწავლო ნაწილის გამგემ მიიღო მონაწილეობა. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ყოველმხრივმა განხილვამ პარტიულ კრებაზე ადგილი ვერ ჰპოვა, მაშინ როცა სკოლაში ყველაფერი რიგზე არ არის, დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება.

უკეთესად როდია მოწყობილი კულაშის ვ. სტურუას სახელობის საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ამხ. ა. ჩაბრაძე) საქმიანობა. აქ განსაკუთრებით სუსტად არის დაყენებული მოსწავლეთა ანტირელიგიური აღზრდა. მოსწავლეები, მათ შორის, სამწუხაროდ, კომკავშირელებიც არაიშვიათად ასრულებენ რელიგიურ წესებს. რელიგიური „დღესასწაულების“ დროს მოსწავლეები გაკვეთილებს მასობრივად აცდენენ. ამ საქმეში სკოლას ნაკლებად ეხმარებიან არტელების — „საბჭოთა კულაშის“, „წითელი ტრიკოტაჟისა“ და „პირველი მაისის“ პარტიული ორგანიზაციები.

სუსტად მუშაობს დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციაც. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. გასული წლის 28 დეკემბერს სკოლაში გაიმართა ღია პარტიული კრება, რომელზეც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-7 პლენუმის შედეგები განიხილეს. ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას აქ ზერელედ, ფორმალურად მიუდგნენ. სხვანაირად როგორ შეიძლება აკადემიკოს ფაქტი, რომ ამავე კრებაზე დამატებით მეთოდკომისიებისა და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის მუშაობის შესახებ „იმსჯელეს“.

— ეს იმიტომ მოხდა, რომ აღნიშნული საკითხები დეკემბრის სამუშაო გეგმაში გვქონდა გათვალისწინებული, ხოლო ოქმებს ცალცალკე გავაფორმებთო, — განგვიმარტა პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილემ ამხ. ლ. ხარაბაძემ.

ამას წინათ გამართული რაიონული პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-7 პლენუმის შედეგების განხილვას მიეძღვნა, საკმარისლიანად აღინიშნა, რომ რაიონის სკოლებში მოისუსტებს დისციპლინა, არის მოსწავლეთა ხულიგნობის ფაქტები. სასკოლო პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ეხმარებიან სკოლის დირექციებს მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სასკოლო პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან აამაღლონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე, მიაღწიონ სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ საქმეში მათ სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიოს პარტიის სამტრედიის რაიკომმა.

ვ. კოკალეიშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თეთრი წყაროს რაიონში

რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა

სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება რაიონული ცენტრი — დაბა თეთრი წყარო. გასული წლის დამლევს მას კიდევ ერთი კეთილმოწყობილი ქუჩა შეემატა. კიროვის ქუჩაზე დააგეს ქვაფენილი, მოაწყეს ტროტუარები, რომლებსაც გაუკეთდა ქვის ბორდიურები. რაიონის კულტურისა და დასვენების პარკს და ლენინის ქუჩის მარცხენა ნაპირს გაუკეთდა ქვის ღობე. ამავე ქუჩაზე აშენდა რაიონის კავშირგაბმულობისა და რაიკოოპერატივის ადმინისტრაციული სახლები. აშენდა აგრეთვე ახალი აბანო და ბევრი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

კოლმეურნეები სახლებს იშენებენ

უკანასკნელ წლებში რაიონში ფართოდ გაჩაღდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. მარტო გასულ წელს 570 კოლმეურნემ აიშენა სახლი. სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს მშენებლებს. შარშან მათ სესხად 320 ათასი მანეთი მიიღეს. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა სახლების მშენებლობა დაბა თეთრ წყაროში, სოფლებში კოდაში, ჯორჯიაშვილში, ბორბალოში და წინწყაროში.

ფართოვდება საცავჯრო ქსელი

ყოველწლიურად ფართოვდება რაიონში საცავჯრო ქსელი. ახლა იშვიათად ნახავთ ისეთ სოფელს, სადაც მაღაზია არ იყოს. რაიკოოპერატივმა მექანიზატორების უკეთ მომარაგების მიზნით შარშან ასურეთისა და თეთრი წყაროს მტს-ებში გახსნა სასადილოები და მაღაზიები, სოფელ ერტიხში — მაღაზია, რაიონის ცენტრში — კეთილმოწყობილი სამეურნეო საქონლის მაღაზია. რაიკოოპერატივს განზრახული აქვს მომდინარე წელს უფრო გააფართოოს საცავჯრო ქსელი.

კოლმეურნეობამ გაიყვანა სარწყავი არხი

საშემოდგომო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ბევრმა კოლმეურნეობამ ზამთრის ხელსაყრელი ამინდები ნაყოფიერად გამოიყენა. სოფელ დმანისის კოლმეურნეობამ საკუთარი ძალებით სამ კოლმეურნეზე გაიყვანა სარწყავი არხი, რომელიც მორწყავს კოლმეურნეობის 40-50 ჰექტარ მიწას და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებს. სოფელ ბორბალოს კოლმეურნეებმა გამოიყვანეს ახალი წყალსადენი, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს სოფლის სამეურნეო საჭიროებას.

რ. დავითური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოვიდა წერილი, სადაც მხილებული იყო გარეუბნის რაიონის სოფელ დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო დოვლათის გაფლანგვა-დატაცების და კოლმეურნეობაში ანგარიშსწორება — აღრიცხვის მოუწესრიგებლობის ფაქტები. წერილი ზომების მისაღებად საქართველოს კომპარტიის გარეუბნის რაიკომს გადაეგზავნა. როგორც რაიკომი იტყობინება, წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. რაიკომის ბიუროს დადგენილებით კოლმეურნეობის ბუხალტერი გ. ლომინაძე, მეწისქვილე ი. ხმალაძე და აბანოს გამგე ა. ნონიკოვი საკოლმეურნეო თანხების მითვისებისათვის მოხსნილი არიან სამუშაოდან და მიცემულ იქნენ პასუხისგებაში, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ბ. დოლიძეს და კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანს ს. გეგელაშვილს კოლმეურნეობაში ანგარიშსწორება-აღრიცხვის ჩაშლისათვის და საკოლმეურნეო დოვლათის დაცვისადმი სუსტი კონტროლისათვის საყვედური გამოეცხადათ.

თეატრი

ახალი ქართული ოპერეტა



ჩვენი მსმენელის ერთ-ერთი საყვარელი ჟანრია ოპერეტა. საბჭოთა მაყურებელს უყვარს ჯანსაღი სიცილი, მხიარულება. ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის ყოველი წარმოდგენა მუდამ ხალხით სავსე დარბაზში მიდის.

მუსკომედიის თეატრი ყველაზე ფართო და მრავალფეროვანი მსმენელის პოპულარული სანახაობითი დაწესებულებაა. მაგრამ სწორედ ეს აყენებს საკითხს თეატრისადმი პრაქტიკული დახმარების შესახებ. დახმარება კი განსაკუთრებით აუცილებელია ახლა, როცა მაყურებლის მხატვრული მოთხოვნილება ასე გაიზარდა, ხოლო თეატრის შემოქმედებითი მუშაობის არახელსაყრელი პირობები არ შეიძლება უარყოფით გავლენას არ ახდენდეს სპექტაკლების მხატვრულ დონეზე.

თეატრს ძალიან პატარა სცენა აქვს, ჰყავს მცირერიცხოვანი გუნდი, რომელიც შეკსებას და გაფართოებას საჭიროებს. მხოლოდ ასე შეიძლება თავიდან ავიცილოთ გუნდის სუსტი ხმოვანება. არასრული შემადგენლობისაა ორკესტრიც. ასეთი სახის თეატრში ორკესტრს ევალება მთავარი — ნაწარმოების მუსიკალური ინტერპრეტაცია და ამიტომ აუცილებელია მისი შევსება, განსაკუთრებით კი სიმებიანი ჯგუფისა.

სამწუხაროდ, თეატრის დასი ნაკლებად ივსება ახალი ძალებით, ახალგაზრდების მოზიდვა კი ამ კოლექტივს განსაკუთრებით სჭირდება. საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას ჩვენს ვოკალურ ახალგაზრდობაში მცდარი წარმოდგენა ოპერეტაზე, როგორც „მსუბუქ“, არასერიოზულ ჟანრზე. სხვაგვარად როგორ უნდა შეეფასოთ ის ამბავი, რომ კონსერვატორიის კურსდამთავრებულნი რატომღაც არ იჩენენ სურვილს თავიანთი სასცენო მოღვაწეობა დაუკავშირონ მუსიკალური კომედიის თეატრს და ცდილობენ, ხმირად წარუმატებლადაც, როგორმე გამოდიოდნენ საოპერო თეატრში.

საჭიროა კონსერვატორიაში სტუდენტთა სპეციალიზაცია ხდებოდეს არა ცალმხრივად, საოპერო კლასისათვის, არამედ მხედველობაში იქნას მიღებული სხვა ვოკალური დარგებიც.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა საგრძნობლად აამაღლებს თეატრის იდეურ-მხატვრულ დონეს.

* * *

მუსკომედიის თეატრის სცენაზე უმთავრესად იდგმება ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები — ბევრი ჩვენი კომპოზიტორი აქტიურად მოღვაწეობს ამ ჟანრში. თეატრის მიერ ამ მხრივ არჩეული გზა უდავოდ სწორია, რადგან მხოლოდ ასეთი შემოქმედებითი ძიებით შეიძლება შეიქმნას მუსიკალური კომედიის ეროვნული ორიგინალური ნიმუშები. თეატრის მიერ ამ მხატვრულმა ალღომ თეატრს არასოდეს არ უნდა უღალატოს, მან მეტი მომთხოვნელობა უნდა გამოიჩინოს ავტორის მიმართ. ეს განსაკუთრებით შეეხება ლიბრეტოს ავტორებს. ბევრი სპექტაკლი, უმთავრესად მათი სალაპარაკო ტექსტი, საჭიროებს სერიოზულ დახვეწას და გაშენებას. ლიბრეტოული ტექსტი ხომ უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ისეთ ჟანრში, როგორიც არის მუსიკალური კომედია, და მისი მაღალმხატვრულობისათვის ბრძოლა თეატრის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

თეატრის სცენაზე უკანასკნელ ხანს დადგა ახალი მუსიკალური კომედია „საყვარელი დისშვილი“, მისმა ავტორმა — ახალგაზრდა კომპოზიტორმა შოთა მილორავამ უკვე შექმნა ამ ჟანრის რამდენიმე ნაწარმოები.

ახალი ოპერეტის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ღირსებაა ის, რომ საერთოდ ამ ჟანრის ადრინდელ ნაწარმოებებთან შედარებით ამჯერად მუსიკის როლი საგრძნობლად გაზრდილია. აქ მუსიკა სპექტაკლის ორგანული ნაწილია და წამყვანი, გაბატონებული მდგომარეობა უკავია. გარდა ამისა, რომ ახალ ოპერეტაში მუსიკის სიუხვეა, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძირითადი პერსონაჟების დახასიათებაში.

ნათელ ფერებშია მოცემული ლირიკული წყვილის: ახალგაზრდა ქალაშვილის ფაციას და მისი სატრფოს — პოეტ ნოდარის მუსიკალური დახასიათება. პირველი გმირის ხასიათის გამოკვეთაში იგრძნობა ლირიკული გამომსახველობა, გულითადობა და, რაც განსაკუთრებით გვიხარია, ხალასი ბუნება. ამიტომაც მის ვოკალურ პარტიას მსმენელი დიდი უშუალობით იღებს. იგივე ითქმის ნოდარის ვოკალურ მხარეზე. მათს მუსიკაში კომპოზიტორმა მოხერხებულად მიაგნო და გადაგვიშალა ჩვენი ახალგაზრდობის ძვირფასი თვისებები: ჭაბუკური სიწრფელე, რომანტიკა, გრძნობათა კეთილშობილება. სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს ფაციასა და ნოდარის პირველი და მეორე დუეტი, ნოდარის არიოზო და სიმღერა, ფაციას რომანსი.

ფაციას სახეს მეტ ღირსებას ანიჭებს მის მუსიკალურ დახასიათებაში მოცემული ლეიტმოტივი. ეს არის პატარა, მაგრამ სითბოთი გამსჭვალული ლირიკული მელოდია. ამ მელოდიაზე, როგორც ძირითად ლეიტმოტივზე, აგებულია ოპერეტის საორკესტრო შესავალი და მისი ინტონაციები ყოველ მნიშვნელოვან საკვანძო სცენებში. იგივე ლეიტმოტივი დიდ როლს ასრულებს მთელი ნაწარმოების მუსიკალურ დრამატურგიაში.

შედარებით უფერული გამოვიდა მეორე, ეგრეთწოდებული „ჯასკადური“ წყვილის—ორი შეყვარებულის ლალისა და ზაურის მუსიკალური დახასიათება. კლასიკურ ოპერეტებში „ჯასკადური“ წყვილი ხასიათდება ნათელი, ცეცხლოვანი, მოკაფიე კუპლეტებით, სიმღერებით, ცეკვებით. მაჯერად კი ამ ორი გმირის მუსიკალურ დახასიათებაში ნაკლებია ასეთი ფერადოვნება, მათი სახეები გახსნილია არა იმდენად მუსიკაში, რამდენადაც სალაპარაკო დიალოგებში. ნაკლებად გამომსახველია მათი ცეკვებიც.

ცხოვრებიდან არის აღებული ორი „სტილიგისა“ და უსაქმურის — ჰიპიკოსა და გულის სახეები. მათს დასახასიათებლად კომპოზიტორმა წარმატებით გამოიყენა მელოდია ქალაქური სიმღერისა „ორი ქოთანი ვიყიდე“, რაშიც მოხერხებულად არის შერწყმული „ბუგი-ვუგის“ ჯაზური რიტმი.

ახალ ოპერეტაში საგრძნობლად გაიზარდა ანსამბლების, როგორც დამოუკიდებელი მუსიკალური ნომრების, მნიშვნელობა. ისინი მეტი როლს როდი ასრულებენ როგორც ცალკეული ხასიათების გახსნაში, ისე სცენური სიტუაციების გადმოცემაში. განსაკუთრებით საინტერესოა სამი დეიდისა და უცნობის კვარტეტი, დეიდების ტერცეტი ფინალში.

„საყვარელი დისშვილი“ — ეს არის ოპერეტა თანამედროვე რეალისტური სიუჟეტით. ლ. ჭუბაბრიასა და პ. გრუზინსკის კარგი ქართულით დაწერილ ლიბრეტოში დამაჯერებლად მუშავდება ზოგიერთი ადგილი, განსაკუთრებით სალაპარაკო ტექსტი, მაინც საჭიროებს.

ქებას ღირსია ოპერეტის სცენური ხორცშესხმა. დამდგმელმა—თეატრის მთავარმა რეჟისორმა შ. მესხმა მიაგნო რეალისტურ საშუალებებს თანამედროვე კომედიის, კომედიური სიტუაციების შესაქმნელად. დამაჯერებელია სპექტაკლის გონებამახვილური მიზანსცენები და განსაკუთრებით კი გარეგნული სცენური სახე პერსონაჟებისა, რომელთა მოქმედება შეეხამება გმირთა შინაგან ბუნებას.

მაგრამ დადგმაში არის ნაკლოვანებანიც. გაჭიანურებულია ბოშაქალის სცენა პირველ მოქმედებაში, სცენა მკითხავთან. გაუგებარია, ფაციასა და ნოდარის სასიყვარულო სცენაში რატომ დგას მათთან უცნობი, რომელიც მხოლოდ ფანტაჟს მსმენელის ყურადღებას.

სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაში (ელენეშვილის) თუმცა არის კარგად მიგნებული დეტალები („სტილიაგების“ ფყვირალა ჩაცმულობა და სხვ.), მაგრამ მხატვარს არ გაუთვალისწინებია სცენის მცირე ფართობი და იგი დეკორაციებით გადატვირთულია, განსაკუთრებით პირველ და ბოლო მოქმედებაში. ეს მსახიობებს ართმევს თავისუფალი მოძრაობის საშუალებას, ბორკავს მათ, რაც განსაკუთრებით იგრძნობა მასობრივ სცენებში.

ზემოთ შევეხეთ ახალი ძალებით თეატრის დასის შევსების საკითხს. ამ მხრივ ერთგვარი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. სასიხარულოა ოპერეტაში ახალი მომღერლების, პირველ რიგში თბილისის კონსერვატორიის აღზრდილთა თ. მერკვილაძისა (ფაცია) და ო. ბაბტაძის (ნოდარი) გამოსვლა. კარგად ასრულებენ თავიანთ პარტიებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. სალარიძე (ჩიჩიკო) და მსახიობი ქ. კობახიძე (ლალი). კარგი აქტიორული უნარი გვიჩვენეს ა. კვირკველიამ და ფ. ჭანტურიამ (ეფრეკი), შ. ნაცვლიშვილმა (ტული), მ. ხოფერიამ (მართა), ბ. იანვარაშვილმა (რიფსიმე), ნ. თულაშვილმა (ლატო), ე. ხოხელმა (ქვათახუნა მკითხავი). მსახიობები ი. ქუთათელაძე, ც. ქადაგიძე, რ. ბერძენიშვილი და ი. ბაბაშვილი ეპიზოდურ როლებს დამაჯერებლად ასახიერებენ.

ცალკე გვინდა გამოვყოთ საკმაოდ პოპულარული მსახიობი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. მოსეშვილი (ზაური). უკანასკნელ ხანებში მას ზომიერების გრძნობა ერთგვარად ღალატობს და რატომღაც მოჩქმედებაში აჭარბებს. თეატრის მაყურებელს უყვარს ნ. მოსეშვილი და მისგან მოელის სიახლეს ყოველ როლში.

ორკესტრი, როგორც ვთქვით, უნდა შეივსოს, მაგრამ მისი შესრულების დონე წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად მაღლა დგას. ახალ ოპერეტაში დირიჟორ გ. კახიანს იგი მიჰყავს ზომიერად, მხატვრული ტაქტით.

რამდენიმე სიტყვა ოპერეტის ცეკვებზე (დამდგმელი დ. მაჭავარიანი). გარდა „სტილიაგების“ ცეკვისა, ისინი წარმოდგენილია დივერტისმენტების სახით და მოქმედებასთან ორგანულად კავშირი არა აქვთ. გარდა ამისა, ქართულ ოპერეტაში „კასკადური“ საცეკვაო ნომრები, მიუხედავად მუსიკის ეროვნული რიტმისა, მიუღებლად მიგვაჩნია.

შ. მილორავას ახალი ოპერეტა სასიხარულო, მისასალმებელი მოვლენაა რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში.

მირა ფიჩხაძე.

* * *

სურათზე: სცენა ოპერეტიდან „საყვარელი დისშვილი“. ფოტო დ. თოხაძისა.

კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელთა დასახმარებლად

კოლმეურნეობის საწარმოო გეგმა

კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ღონისძიებათა სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს შინასაკოლმეურნეო დაგეგმვას, რომელიც გამომდინარეობს და მთლიანად შეესაბამება სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების კანონის მოთხოვნებს. წარმოების სოციალისტური წესის აუცილებელი დამახასიათებელია სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი პროპორციული განვითარება. მსგავლი განსაზოგადოებული სოციალისტური წარმოება, მსგავლი სოციალისტური საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები უგეგმოდ ვერ განვითარდებიან. თვითეული კოლმეურნეობის გეგმა ერთიანი სახალხო მეურნეობის სახელმწიფო გეგმის ნაწილს შეადგენს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში ნათქვამია: „არტელი კისრულობს ვალდებულებას: გეგმის მიხედვით გაუძღვეს თავის კოლექტიურ მეურნეობას, ზუსტად დაიცვას მუშურგლეხური მთავრობის ორგანოთა მიერ დაწესებული გეგმები სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და არტელის ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე“.

კოლმეურნეობებისადმი სახელმწიფო გეგმიან ხელმძღვანელობას აქვს თავისი თავისებურებანი, რომლებიც გამომდინარეობენ კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების ხასიათიდან. სოციალისტური სახელმწიფო კოლმეურნეობებისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობის განხორციელების დროს ემყარება კოლმეურნე მასების თვითმოქმედებას. კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინიციატივა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის, თვითეული რაიონის, თვითეული კოლმეურნეობის ეკონომიური და ბუნებრივი პირობების სრულად გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

* * *

სოფლის მეურნეობის დაგეგმვის დარგში, შინასაკოლმეურნეო დაგეგმვაში განვლილი წლების მანძილზე მოპოვებული სერიოზული მიღწევების მიუხედავად, პარტიის XIX ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და მომდევნო პლენუმებმა აღნიშნეს ის ნაკლოვანებები და შეცდომები, რასაც ადგილი ჰქონდა სოფლის მეურნეობის დაგეგმვაში. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1955 წლის 9 მარტს მიიღეს დადგენილება „სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ“.

ამ დადგენილების მიხედვით 1955 წლიდან შემოღებულია დაგეგმვის ახალი წესი, რომლის ამოსავალი საწყისია სასაქონლო პროდუქციის მოცულობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვა უნდა იწყებოდეს უშუალოდ კოლმეურნეობებში მტს-ებთან ერთად და საბჭოთა მეურნეობებში მიწის სავარგულების უკეთ გამოყენების გათვალისწინებით. ამასთან დაგეგმვა და ანგარიში უნდა წარმოებდეს არა ამა თუ იმ კულტურის დათესილი ჰექტარების რაოდენობის მიხედვით და არა ჯოგში პირუტყვის სულადობის მიხედვით, არამედ მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის და მეშინდვრეობის სხვა პროდუქტების მიღებული ცენტნერების რაოდენობის მიხედვით, ხორცის, რძის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების რაოდენობის მიხედვით. ამის შესაბამისად ყოველწლიურად სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია მეშინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მოცულობა სავალდებულო ჩაბარების, მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების, კონტრაქტაციისა და შესყიდვის დარგში იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას სურსათზე და მრეწველობისას — სასოფლო-საქმეურნეო ნედლეულზე.

მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომები, ეყრდნობიან რა სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას, ყოველწლიურად არაუგვიანეს 1 სექტემბრისა კოლმეურნეობებს აძლევენ მომავალი წლის საგეგმო დავალებას მეშინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მოცულობაზე სავალდებულო ჩაბარების, მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების, კონტრაქტაციის და შესყიდვის დარგში.

კოლმეურნეობები, მტს-ების მონაწილეობით, ეყრდნობიან სახელმწიფოსათვის მეშინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის ჩაბარების დავალებებს და ამ პროდუქციაზე კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მოთხოვნილების უზრუნველყოფას და თავიანთი შეხედულებით განსაზღვრავენ სათესი ფართობების რაოდენობას კულტურების მიხედვით, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქციულობას და პირუტყვის რაოდენობას სახეობათა მიხედვით. რადგან სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პროდუქციის რაოდენობა საკოლმეურნეო პროდუქციის მხოლოდ ნაწილს შეადგენს, საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენისას კოლმეურნეობები უნდა ეყრდნობოდნენ იმას, რომ საჭიროა მაქსიმალურად და ინტენსიურად გამოიყენონ მიწის მთელი სავარგულები, როგორც კოლმეურნეობათა ძირითადი სიმდიდრე, და გაადიდონ ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე პროდუქციის წარმოება.

კოლმეურნეობების გამგეობებს მტს-ებთან ერთად შემუშავებული კულტურების თესვისა და მეცხოველეობის განვითარების გეგმები განსახილველად და დასამტკიცებლად გამოაქვთ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე.

* * *

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების გეგმები დგება სახელმწიფო გეგმიანი დავალების საფუძველზე და იყოფა პერსპექტიულ, წლიურ და ოპერატიულ გეგმებად.

შინასაკოლმეურნეო გეგმების სისტემა ითვალისწინებს თვითეულ კოლმეურნეობაში შემდეგი სახის გეგმების შედგენას:

1. პერსპექტიული გეგმა, რომლითაც წარმოების განვითარება რამდენიმე წლით ადრე იგეგმება;

2. კოლმეურნეობის წლიური საწარმოო გეგმა, რომლითაც კალენდარული წლისათვის განისაზღვრება ძირითადი სამეურნეო ღონისძიებები;

3. ფულადი შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა;

4. მუდმივი საწარმოო ბრიგადების, რგოლების და მეცხოველეობის ფერმების წლიური საწარმოო დავალებები;

5. სამუშაო გეგმები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდების ან პირუტყვის მოვლა-შენახვის ცალკეული პერიოდების მიხედვით, ჩვეულებრივად 5 სხვადასხვა პერიოდისათვის;

6. გეგმა-განრიგი — დავალებები ერთ ან რამდენიმე დღეში ცალკეულ სამუშაოთა შესრულებაზე.

საწარმოო გეგმა მოიცავს კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობის ყველა დარგს, მოწინავე მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილების გათვალისწინებით მეშინდვრეობის, მეკარტოფილეობის, მებოსტნეობის, მეხილეობის, მევენახეობის და ყველა სხვა დარგის მკვეთრი აღმავლობის, სავარგულების გაუმჯობესების ღონისძიებებს, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების შესრულებას, მეშინდვრეობისა და მეცხოველეობის დარგების მექანიზაციას, საზოგადოებრივი შენობების, ნაგებობების მშენებლობას, რემონტს, დამხმარე საწარმოების, ავტომანქანების ძრავების და ელექტროდანადგარების მუშაობას, შრომადღეების ხარჯვის გეგმას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განაწილებას, კადრების მომზადებას და სხვ.

კოლმეურნეობა მტს-თან დებს ხელშეკრულებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1954 წლის 20 თებერვალს დამტკიცებული ფორმით, რომლითაც განისაზღვრება მტს-ის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა საკოლმეურნეო წარმოების ცალკე დარგების მიხედვით.

კოლმეურნეობის საწარმოო გეგმის საფუძველზე და მასთან ერთდროულად დგება კოლმეურნეობაში ფულადი შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც განისაზღვრება მომდინარე წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი დარგების მიხედვით და ფულადი სახლრების განაწილება, პირველ რიგში სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების, საზოგადოებრივი ფონდების გამოყოფის და სხვათა გათვალისწინებით. კოლმეურნეობის საწარმოო გეგმის შესაბამისად შედგენილი ფულადი შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა კოლმეურნეობის საფინანსო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს.

„სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ 1955 წელს დამტკიცებულია კოლმეურნეობის საწარმოო გეგმის, მუდმივი საწარმოო ბრიგადის, მეცხოველეობის ფერმის და რგოლის წლიური საწარმოო დავალებების ახალი ფორმები. ამასთან კოლმეურნეობის საწარმოო გეგმის დამტკიცებული ფორმა სანიმუშოა და კოლმეურნეობათა თავისებურების შესაბამისად შეიძლება შევსებულ იქნას სხვა აუცილებელი მაჩვენებლებით. 1956 წელს შინასაკოლმეურნეო დაგეგმვის ახალი ფორმების დროზე და მაღალი ხარისხით შედგენა უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებაა საერთოდ კოლმეურნეობებში მეურნეობის გეგმიანად წარმართვის უზრუნველყოფისათვის.

წლიური საწარმოო გეგმის ხარისხიანად შედგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თვით გეგმის შედგენის მოსამზადებელი სამუშაოების დროულად ჩატარებას. უპირველეს ყოვლისა საჭიროა მემცენარეობაში, მეცხოველეობაში, დამხმარე წამოწყებებში და სხვ. გამომუშავების ნორმების და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შრომადღეებით შეფასებების გადასინჯვა და განვლილი წლების გამოცდილების, შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონის, თვითეული კოლმეურნეობის წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით გამომუშავების პროგრესული ნორმებისა და სწორი შეფასებების

ამერიკის სამხედრო ორგანოების მიერ სსრ კავშირის საჰაერო სივრცის ფარგლებში საჰაერო ბურთების შემოშვების შესახებ

საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების პრეს-კონფერენცია

9 თებერვალს მოსკოვში, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახლში ალექსი ტოლსტოის ქუჩაზე, გაიმართა პრეს-კონფერენცია ამერიკის სამხედრო ორგანოების მიერ საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცის ფარგლებში საჰაერო ბურთების შემოშვების საკითხზე.

პრეს-კონფერენციამ საბჭოთა და უცხოთის პრესის წარმომადგენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე სამინისტროს სახლის დარბაზში შეიკრიბა გაზეთებისა და დეპეშათა სააგენტოების ასამდე კორესპონდენტი. ჟურნალისტები ყურადღებით ეცნობიან ამერიკის ერთ-ერთი დაჭერილი აეროსტატის გარსსა და მოწყობილობას, რომლებიც გამოფენილია დარბაზში. ყოველი მხრიდან მოისმის ფოტოაპარატების საკეტთა ჩხაკუნი. კორესპონდენტებს თავიანთ ბლოკნოტებში შეაქვთ ფოტოაპარატიან კონტეინერზე გაკეთებული წარწერები, იმ ამერიკული ფირმების სახელწოდებანი, რომლებსაც დაუმზადებიათ საჰაერო ბურთების ფოტოგრაფიული და რადიოტექნიკური და სხვა მოწყობილობა.

რამდენიმე ათეული ასეთივე ბურთის — საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში დაჭერილთა მცირე ნაწილის — აპარატურა გამოფენილი იყო აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს სახლის ეზოში.

პრეს-კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგემ ლ. თ. ილიჩოვმა.

„როგორც ცნობილია, — თქვა მან, — საბჭოთა მთავრობამ 4 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის მთავრობებს და 5 თებერვალს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობას გაუგზავნა ნოტები ამერიკის სამხედრო ორგანოების მიერ სსრ კავშირის საჰაერო სივრცის ფარგლებში საჰაერო ბურთების შემოშვების საკითხზე.

იანკრის გიმნაზიაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაჭერილ იქნა მრავალი საჰაერო ბურთი, როგორც გამორკვეული, ამ ბურთებს უშვებდნენ ამერიკის სამხედრო ორგანოები დასავლეთ გერმანიის ტერიტორიიდან, აგრეთვე ამერიკის სამხედრო ბაზებიდან, რომლებიც მდებარეობენ საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ზოგიერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მაგალითად, თურქეთის ტერიტორიიდან.

როგორც ამერიკის პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ აღიარა, რომ უკანასკნელი თვის განმავლობაში გაუშვეს 500 საჰაერო ბურთი სპეციალური აპარატურით. საბჭოთა ტერიტორიაზე დაჭერილ ყოველ ასეთ ბურთთან აღმოჩენილია სხვადასხვაგვარი აპარატურა და სამარაგეები, რომლებიც განკუთვნილია არა მეტეოროლოგიური დაკვირვებისათვის, არამედ აეროფოტოგრაფიული დაზვერვის საწარმოებლად.

თქვენს წინაშეა ერთი საჰაერო ბურთი იმ სახით, რომელიც გვიჩვენებს აპარატის მდგომარეობას ფრენის დროს, აგრეთვე მრავალი სხვა აეროსტატი. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა დათვალიეროთ ისინი. მაშინვე დაინახავთ, რომ ბურთებს არა აქვთ აპარატურა, რომლის საშუალებით შეიძლებოდეს დაკვირვების წარმოება მეტეოროლოგიურ ელემენტებზე, ე. ი. ატმოსფერულ წნევაზე, ჰაერის ტემპერატურასა და ტენიანობაზე. სამაგიეროდ არის აპარატურა, რომლის საშუალებით შეიძლება აეროფოტოგრაფიული დაზვერვის წარმოება.

როგორც თვით ბურთები, ისე ბურთებთან აღმოჩენილი აპარატურა გაკეთებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ პირადად დარწმუნდეთ, როგორ ქვეყანაში და რომელმა ფირმებმა გააკეთეს აღნიშნული ბურთები და აპარატურა.

აქამდე ვლაპარაკობდით ერთი ტიპის ბურთებზე. აღნიშნული ტიპის ბურთების გარდა ამერიკის სამხედრო ორგანიზაციები კვლავ უშვებენ საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში ბურთებს ტვირთით, რომელიც სსრ კავშირისადმი მტრული ფურცლებისა და პროპაგანდისტული ლიტერატურისაგან შედგება.

ჯერ კიდევ 1955 წლის 28 სექტემბერს საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღება მიაქცია იმას, რომ ბურთებს სსრ კავშირისადმი მტრული ფურცლებით და პროპაგანდისტული ლიტერატურით სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში უშვებენ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიიდან. საბჭოთა მთავრობამ მაშინ განაცხადა: იგი მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს საჭირო ღონისძიებებს, რათა შეწყდეს ამერიკული ორგანიზაციების აღნიშნული მოქმედება და აღიკვეთოს საფრთხე, რომელსაც საჰაერო ბურთები უქმნიან თვითმფრინავებს.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ არავითარი ღონისძიება არ მიიღო ამ მხრივ. უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს საჰაერო ბურთების, განსაკუთრებით იმ ბურთების ფრენამ, რომლებიც აღჭურვილი არიან აპარატურით სამხედრო დაზვერვითი მიზნებისათვის და რომლებიც თქვენ წარმოგიდგინეს დასათვალიერებლად, მიიღო ფართო მასშტაბი, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის როგორც ავიაციას, ისე მოსახლეობას.

ამერიკის სამხედრო ორგანოების მთელი ეს მოქმედება არ შეიძლება არ ჩაითვალოს იმის ცდად, რომ განახორციელონ „ომის ზღვარზე“ ყოფნის პოლიტიკა, რომელიც ამ ამერიკის საზოგადოებრივმა აზრმა. ეს მოქმედება მოასწავებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევას. ეს არის აგრეთვე დარღვევა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპისა, რომლის თანახმად ყოველ სახელმწიფოს აქვს სრული და განსაკუთრებული სუვერენიტეტი საჰაერო სივრცის მიმართ თავის ტერიტორიაზე.

თავის 4 თებერვლის ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობამ მტკიცე პროტესტი განაცხადა და მოსთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შიელოს ღონისძიებანი, რათა დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის სამხედრო ორგანოების აღნიშნული შეუწყნარებელი მოქმედება.

ჩვენ მოგიწვიეთ თქვენ, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, რათა საშუალება მოგცეთ თვალნათლივ დარწმუნდეთ, თუ რა მიზნებს ემსახურება ეგრეთწოდებული „მეტეოროლოგიური ბურთები“, რომლებსაც ამერიკის სამხედრო ორგანოები უშვებენ სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში. ეს ბურთები მართლა მეტეოროლოგიური დაკვირვებისთვისაც რომ იყოს განკუთვნილი, ამ შემთხვევაშიც კი საჰაერო ბურთების შემოშვება საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში მისი ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა იქნებოდა.

თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რა ფასი აქვს განცხადებებს იმის შესახებ, რომ ბურთებს უშვებენ თითქოს „მეცნიერული“ მიზნებით „მეტეოროლოგიური“ მონაცემების მისაღებად, „დიდ სიმაღლეზე ღრუბლების“ ფოტოგადაღებისათვის. თქვენს საყურადღებოდ წარმოვადგენთ სპეციალისტების ინფორმაციას“.

ლ. თ. ილიჩოვმა პრეს-კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა ტექნიკური ექსპერტი პოლკოვნიკი ა. ვ. ტარანცოვი, რომელმაც მოიყვანა ზოგიერთი ტექნიკური მონაცემები სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში დაჭერილი ამერიკული აეროსტატების შესახებ.

„დაჭერილი აეროსტატების შესწავლისას, — თქვა ა. ვ. ტარანცოვმა, — გამოირკვა, რომ თვითეულ მათგანს აქვს:

— წყალბადით გავსებული ბურთი, რომლის მოცულობაა 1.600-მდე კუბური მეტრი და ტვირთამწეობა — 650-700-მდე კილოგრამი. ბურთი გაკეთებულია თხელი, გამკვირვალე ორგანული მასალისაგან.

— ორობიექტივიანი აეროფოტოგადამღები აპარატი ფოტოგრაფიული ფირის დიდი მარაგით და ტექნიკური მოწყობილობით გადასაღები ადგილმდებარეობის კოორდინატების განსაზღვრისათვის;

— რადიოტექნიკური აპარატურა, რომელიც უზრუნველყოფს აეროსტატისათვის მიწიდან თვალყურის დევნებას მისი ფრენის მარშრუტზე, ფრენის საჭირო სიმაღლის შენარჩუნებას ბალასტის ჩამოყრის გზით, ფოტოაპარატის ავტომატურ მართვასა და აპარატურის პარაშუტებით ჩამოგდებას ფრენის ბოლო პუნქტებში.

აპარატურის ელექტროკვების წყაროების მარაგი გაანგარიშებულია 7-10 დღე-ღამის განმავლობაში ფრენის უზრუნველსაყოფად.

აპარატურის წონა აღწევს 350 კილოგრამს, ბალასტის წონა — 300-მდე კილოგრამს.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ატმოსფეროს გამოკვლევისას, როგორც ვიცით, საკმაოდ აუცილებელია ისეთი მეტეოროლოგიური ელემენტების გაზომვა, როგორიც არის ატმოსფერული წნევა, ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა. მაგრამ არც ერთ დაჭერილ აეროსტატზე არ აღმოჩენილა რაიმე აპარატურა, რომელიც საშუალებას იძლეოდეს წარმოებულ იქნას ამ მეტეოროლოგიური ელემენტების გაზომვა, აგრეთვე ამ გაზომვის შედეგების გადაცემა რადიოს საშუალებით. მეორე მხრივ, აღმოჩნდა აპარატურა, რომელიც განკუთვნილია აეროფოტოგრაფიული დაზვერვის წარმოებისათვის.

საჰაერო ბურთები და მათზე მიბმული აპარატურა საფრთხეს უქმნიან როგორც ავიაციას, ისე ადამიანებს, რომლებიც ამ აპარატებს აიღებენ მიწაზე. აპარატურაზე არსებულმა ასაფეთქებელმა პიროვნებებმა, თუ კაცმა არ იცის, როგორ უნდა მოვპყროთ მათ, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი დასახიჩრება.

რადიოაპარატურიან კონტეინერებში აღმოჩენილ იქნა მუყაოს ბლანკები შტამპით „საღუმლოა“ ინგლისურ ენაზე. ბლანკებზე ჩაწერილია რადიოაპარატურის დაყენების ცნობები. ეს იმას მოწმობს, რომ აეროსტატების გაშვებისათვის მზადება საიდუმლო წესით მიმდინარეობდა.

აპარატურის კონსტრუქციის ტექნოლოგიური თავისებურებანი მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწყობილია მისი მასობრივი წარმოება.

აეროსტატების შემოშვება და მათი ფრენის უზრუნველყოფა მოითხოვს ფართოდ განშტოებული სპეციალური სამსახურის ორგანიზაციას და არ შეიძლება განხორციელებულ იქნას კერძო პირების ან ორგანიზაციების მიერ“.

პრეს-კონფერენციაზე დამსწრეებმა ბევრი კითხვა მისცეს. მათ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს იმ საკითხისადმი, თუ რაში მდგომარეობს საჰაერო ბურთების საშიშროება მოსახლეობისათვის. ლ. თ. ილიჩოვმა და ა. ვ. ტარანცოვმა აღნიშნეს, რომ, ჯერ ერთი, ასეთი ბურთების ფრენა ქმნის მათთან სატრანსპორტო და სამგზავრო თვითმფრინავების დაჯახების საფრთხეს, რასაც შეიძლება მოჰყვეს კატასტროფა და ადამიანთა მსხვერპლი. მეორე, დაშვებისას, საჰაერო ბურთი შეიძლება აფეთქდეს მიწაზე, მესაფე, იმ შემთხვევაში, თუ გაუხსნელი პარაშუტებით დაეცა, მძიმე აპარატურას შეუძლია დაიზიანოს შენობები, ტელეფონისა და ელექტრობის ხაზები და გამოიწვიოს ხანძარი და ადამიანთა მსხვერპლი. მეოთხე, აპარატურა შეიცავს პიროვნებებს, რომელთა აფეთქებას შეუძლია მძიმე დასახიჩრება გამოიწვიოს.

გაზეთ „ერასნაია ზვეზდის“ წარმომადგენელმა იკითხა, თუ რა სიმაღლეზე დაფრინავენ ეს აეროსტატები. პასუხად აღნიშნეს, რომ აეროსტატები ფრინავენ სხვადასხვა სიმაღლეზე — 4-5 ათასი მეტრიდან 20 ათას მეტრამდე. ბევრი საჰაერო ბურთი დაფრინავს იმ სიმაღლეებზე, სადაც ტარანსპორტი და სამგზავრო თვითმფრინავები დაფრინავენ. ბევრ შემთხვევაში ჰაერის ძლიერი მდინარება ბურთებს დაიყვანდა ხოლმე სამგზავრო თვითმფრინავების ფრენის სიმაღლემდე.

ამერიკული სააგენტოს ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის კორესპონდენტმა იკითხა, არის თუ არა აეროსტატებზე აღმოჩენილ სურათებს შორის საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფოტოსურათები.

პასუხად პოლკოვნიკმა ა. ვ. ტარანცოვმა გაშალა გრძელი და ფართო ფოტოფირი, რომელიც ერთ-ერთ საჰაერო ბურთზე აღმოაჩინეს. ამ ფირზე გადაღებულია საბჭოთა ტერიტორიის მთელი რიგი უბნები. კორესპონდენტები ადგნენ და დაათვალიერეს ეს ფირი, რომელიც მოწმობს სსრ კავშირის საჰაერო სივრცის ფარგლებში ბურთების შემოშვების ნამდვილ მიზნებს.

გაზეთ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტმა შენიშნა: რამდენადაც საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში ბურთების შემოშვება დასაბუთებულია სურვილით გადაიღონ ღრუბლების წარმოქმნის პროცესი, იბადება კითხვა, რატომ არ იღებენ ღრუბლებს, მაგალითად, ეგრმანიის ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამ ირონიულმა შენიშვნამ დამსწრეთა ხმამაღალი სიცილი გამოიწვია.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა იკითხა: თუ ამერიკის სამხედრო ორგანოებს აინტერესებთ ღრუბლების წარმოქმნა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, განა არ შეუძლიათ მათ ეს მოსაცემები მოითხოვონ ოფიციალური წესით, ისე რომ ბურთები არ შეუშვან? პასუხად აღინიშნა, რომ, რა თქმა უნდა, ასეთი შესაძლებლობა არსებობს. გარდა ამისა, დღეში რამდენჯერმე საბჭოთა რადიო გადასცემს მეტეოროლოგიურ ცნობებს, რომელთა მიღება შეიძლება მთელ მსოფლიოში და რომლებიც საკმაოდ სრულ წარმოდგენას იძლევა ამაზე, თუ რა პროცესები ხდება ატმოსფეროში.

გაზეთ „ტრუდის“ კორესპონდენტი შეეკითხა საჰაერო ბურთების ფრენის თავისებურებათა შესახებ.

პასუხად აღინიშნა, რომ არსებული საერთაშორისო შეთანხმების მიხედვით საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, სისტემატურად აუწყებს ყველა ქვეყანას, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, ჰაერის ნაკადის მდგომარეობას 10 და მეტ კილომეტრ სიმაღლეზე. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელისუფლებმა, რომლებმაც იცოდნენ, რომ წლის უმეტეს ნაწილში საჰაერო დინება მიდის საბჭოთა კავშირის ტერიტორიული სივრცეებისაკენ, ისარგებლეს ამით და დაზვერვის მიზნით და არა მეტეოროლოგიური კვლევებისათვის მოიწყეს საჰაერო ბურთების შემოშვება. გამორიცხული არ არის, რა თქმა უნდა, რომ წლის ზოგიერთ პერიოდში საჰაერო ბურთები დინებამ წაიღოს სხვა ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთში, ბელგიაში, ინგლისში, სადაც ამ ბურთებს აგრეთვე შეუძლიათ დიდი უსიამოვნება გამოიწვიონ როგორც ავიაციის, ისე მოსახლეობისათვის.

დასასვა კითხვა, თუ როგორ ხდება აეროსტატების დაჭერა. „სხვადასხვა ხერხით, — თქვა ლ. თ. ილიჩოვმა, — მნიშვნელობა დაჭერის ხერხს კი არა აქვს, არამედ საბოლოო შედეგს“.

გაზეთ „იზვესტიის“ წარმომადგენელმა იკითხა, შეუძლიათ თუ არა საბჭოთა ორგანიზაციებს ანალოგიური ბურთები გაუშვან ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ ან დასავლეთ ევროპისაკენ?

ლ. თ. ილიჩოვმა უპასუხა, რომ არსებული ტექნიკური შესაძლებლობანი და მეტეოროლოგიური პირობები ამის გაკეთების საშუალებას იძლევიან.

სხვა კითხვების პასუხად აღინიშნა, რომ სსრ კავშირში დაჭერილია ბევრი ბურთი, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შემოშვებული ბურთების მეტი ნაწილი. აგრეთვე აღინიშნა, რომ თვითეული ასეთი ბურთის დასაღლეობითი ღირებულება შეადგენს 50 ათას დოლარს. თუ ამ თანხას ბურთების თუნდაც იმ რიცხვზე გავამრავლებთ, რომელიც ოფიციალურად აღინიშნეს ამერიკის ხელისუფლებმა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა უდიდეს სახსრებს ხარჯავენ ამერიკის ორგანოები, რათა მოიწყონ საბჭოთა ტერიტორიის აეროფოტოგადაღება დაზვერვის მიზნით. ამასთან ბურთების საშუალებით აეროფოტოდაზვერვის მოწყობისათვის საჭიროა განმტკიცებული ქსელი სახმელეთო რადიოსადგურებისა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ბურთების ფრენას და ახორციელებენ მათს დაშვებას გარკვეულ პუნქტებში.

პრეს-კონფერენციის დამთავრების შემდეგ კორესპონდენტებმა კვლავ გულდასმით დათვალიერეს დარბაზსა და ეზოში გამოფენილი მოწყობილობა, ფოტოსურათები და სხვა მასალები, რომლებიც უდავოდ მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირის სივრცეში ამერიკის სამხედრო ორგანიზაციების მიერ ბურთების შემოშვება, რაც უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საჰაერო ტრანსპორტსა და მოსახლეობას უშიშროებას, იმ მიზნით ხდება, რომ მიიღონ აეროფოტოგრაფიული დაზვერვის მონაცემები. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პრაღა, 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 6-8 თებერვალს პრაღაში მიმდინარეობდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ვრატისლავ კრუტინის მოხსენება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მზადების შესახებ, ვილიამ შიროკის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის ამოცანების შესახებ.

პლენუმმა მოსმენილ მოხსენებათა გამო მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1956 წლის ივნისში მოწვეულ იქნას ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის კონფერენცია.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვარშავა, 10 თებერვალი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, 8-9 თებერვალს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ბოლესლავ ბიერუტის თავმჯდომარეობით გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

მოხსენება სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში 1956-1960 წლებში პარტიის ამოცანების შესახებ გაკეთა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ზენონ ნოვაკმა. მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 17 კაცმა.

პლენუმმა მიიღო დადგენილება „1956-1960 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლად პარტიის ამოცანების შესახებ“.

შეწყდეს ბურთების გამოშვება

რუმინეთის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

ბუქარესტი, 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, რუმინეთის მთავრობამ საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ უკანასკნელ ხანს რუმინეთის ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთიდან შემოფრინდა ბევრი საჰაერო ბურთი, რომლებსაც ჭქონდათ ამერიკული წარმოშობის ავტომატური ფოტოკამერები, მიმდებ-გადამცემი რადიოსადგურები და სხვა ტვირთი. ის, რომ ამერიკის სამხედრო ორგანოები. ნათქვამია ნოტაში, საჰაერო ბურთებს უშვებენ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის საჰაერო მიმოსვლას, იმ თვითმფრინავთა მგზავრებისა და პილოტების სიცოცხლეს, რომლებიც დაფრინავენ რესპუბლიკის შინაგან და საერთაშორისო ხაზებზე. ამასთანავე ბურთების ჩამოვარდნისა და აფეთქების შედეგად ხდება უბედური შემთხვევები. ბევრი პირი, მათ შორის ბავშვები, დაიჭრა და დაშავდა.

ამერიკის სამხედრო ორგანოების მოქმედება, ხაზგასმით არის აღნიშნული ნოტაში, არღვევს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითად პრინციპებს, წესდებისა, რომელზეც ხელი მოწერილი აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

რუმინეთის მთავრობა მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ბურთების გამოშვება.

უმუშევართა რიცხვი ინგლისში

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკდესი). ოფიციალური მონაცემებით, რომლებიც ინგლისის შრომის სამინისტრომ გამოაქვეყნა, ამჟამად ინგლისში 264 ათასი უმუშევარია.

თ. მ. დოსტოევსკისადმი მიძღვნილი საღამო

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით [illegible] ბრიტანეთ [illegible] ინსტიტუტში [illegible] გამოჩენილი რუსი მწერლის თ. მ. დოსტოევსკის გარდაცვალების 75 წლისთავი.

9 თებერვალს თბილისში გაიმართა თ. მ. დოსტოევსკისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც მოაწყეს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობამ.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მწერალმა დ. შენგელაიამ.

მოხსენება თ. მ. დოსტოევსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. გაწერელიამ.

საღამოზე გამოვიდნენ მწერლები—სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ჭეიშვილი, ა. ქუთათელი, ს. კლდიაშვილი, ე. ფეიგინი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საკდესი).

ი. გ. კობიაშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის რადიაციული ლაბორატორიის გამგემ ი. გ. კობიაშვილმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „წესალები ჰიპერტონიული დაავადებისა და ექსპერიმენტული ჰიპერტენზიების დროს ჰიპოტამინის შექმნისა და დინამიკის შესწავლისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დამტკიცა ი. გ. კობიაშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

მძლეოსანთა საქალაქთაშორისო შეჯიბრება

ზამთრის სუსხიანმა ამინდმა და თოვლმა ვერ შეაშინა მძლეოსნები, სპორტის მოყვარულები. 8 და 9 თებერვალს „დინამოს“ სტადიონზე როსტოფისა და თბილისის მძლეოსანთა გუნდების შორის გამართულმა საქალაქთაშორისო შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ასპარეზობა სმრინტერთა შეჯიბრებით დაიწყო. 100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის გამარჯვება ლ. ანთაძემ, რომელმაც აჩვენა დრო — 11,2 წამი. მძლეოსნობის ამავე სახეობაში ქალთა შორის გაიმარჯვა როსტოველმა სპორტსმენმა ნ. კარაჩევსკაიამ (12,6 წამი).

1.500 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა ნ. გრავენმა (როსტოფი, 4.13,4), ბირთვის კვარაში ვაჟთა შორის — გ. ჩადუნელმა (14 მეტრი და 6 სანტიმეტრი), სიმაღლეზე ხტომაში — ნ. მაღლფერიძემ (185 სანტიმეტრი), ქალთა შორის ბირთვის კვარაში — ლ. სესაძემ (12 მეტრი და 97 სანტიმეტრი). ამანათირბენში 4×100 მეტრზე გაიმარჯვეს როსტოფის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა (დრო — 51,5 წამი და 43,8 წამი).

შუბის ტყორცნაში ვაჟთა შორის ჯველაზე ძლიერი აღმოჩნდა გ. ზინოვიევი (როსტოფი, 60 მეტრი და 5 სანტიმეტრი). 5.000 მეტრზე რბენის ფინიშის ზოლი პირველმა გაჯარეთა ნ. ტოლსტობიაღოვმა (როსტოფი, 15.18,8). ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში პირველი ადგილზე აღმოჩნდა ნ. სუვერნიოვა (თბილისი, 5 მეტრი და 13 სანტიმეტრი). 110 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა მ. ტოლეშმა (15,7 წამი), 80 მეტრზე თარჯრბენში მ. ჭოჩლაძემ (12,0 წამი). ლ. სესაძემ ბაღრო ტყორცნა 42 მეტრსა და 10 სანტიმეტრზე, გ. ჩადუნელმა — 44 მეტრსა და 85 სანტიმეტრზე.

როსტოფისა და თბილისის მძლეოსანთა კოლექტივების საქალაქთაშორისო შეჯიბრება დამთავრდა როსტოველთა გამარჯვებით ანგარიშით 136:126.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

კოლმეურნეობის საწარმოო გეგმა

(დასასრული)

მოსამზადებელი სამუშაოები არ შეიძლება მიეცდოს ერთ რომელიმე პირს. ამ სამუშაოებს ასრულებს კოლმეურნეობის გამგობა ცალკე დარგების მიხედვით მოწინავე, გამოცდილი კოლმეურნეებისაგან შემდგარი კომისიების საშუალებით.

* * *

კოლმეურნეობის საწარმოო გეგმას და ფულადი შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას ადგენს კოლმეურნეობის გამგეობა საკოლმეურნეო აქტივისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით. წინასწარ შედგენილ და საწარმოო თათბირზე განხილულ საწარმოო გეგმას და ფულადი შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს კოლმეურნეთა საერთო კრება.

კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ მიღებული კულტურათა თესვისა და ნეცხოველეობის განვითარების გეგმები უნდა განიხილონ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებმა. იმ შემთხვევაში, როცა კოლმეურნეობის მიერ წარდგენილი გეგმა ვერ უზრუნველყოფს კოლმეურნეობის მიერ საკალდებულო და მტს-ის მუშაობისათვის ნატურანაზღაურების ჩაბარების შესრულებას სათანადო კულტურებითა და მეცხოველეობის პროდუქტებით, აგრეთვე კონტრაქტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებათა გაანაღდებას, რაისაბჭოს აღმასკომი რჩევას აძლევს კოლმეურნეობას გეგმაში შეიტანოს საჭირო ცვლილებები.

შინასაკოლმეურნეო დაგეგმვის ახალი ფორმები ითვალისწინებენ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მთელ რიგ ეკონომიურ მაჩვენებლებს. ამასთან, წინა წლების საწარმოო გეგმისაგან განსხვავებით, საწარმოო გეგმის ახალ ფორმას დამატებული აქვს საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიური მაჩვენებლები. შემოღებულია განყოფილება ერთი ცენტნერი პროდუქციის წარმოებაზე პირდაპირი დანახარჯები, შრომადღეების დანახარჯები (საწარმოო გეგმის ცხრილი XXVI), სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ერთ შრომისუნარიანზე და 100 ჰექტარ მიწის ფართობზე (საწარმოო გეგმის XXVII ცხრილი). ცხადია, იგულისხმება ის შრომისუნარიანი კოლმეურნე, რომელიც ჩაბმულია საკოლმეურნეო წარმოებაში.

* * *

საწარმოო გეგმის გარდა კოლმეურნეობებში ყოველწლიურად დგება მუდმივი საწარმოო ბრიგადების, რგოლების და მეცხოველეობის ფერმების წლიური საწარმოო დავალებები იმ ფორმებით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ 1955 წელს.

კოლმეურნეობის საწარმოო გეგმა და ფულადი შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა დგება ორ-ორ ცალად. ერთი რჩება კოლმეურნეობაში, მეორე კი ეგზავნება მტს-ს, რომლის მომსახურებაში შედის კოლმეურნეობა, ან რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, სადაც მტს-ები არ არის.

ბრიგადების, რგოლების და მეცხოველეობის ფერმების წლიური საწარმოო დავალებებიც დგება ორ-ორ ცალად. კოლმეურნეთა კრებაზე დამტკიცებისა და გამგეობის თავმჯდომარის მიერ ხელის მოწერის შემდეგ ერთი ცალი ჩაბარდება ბრიგადირს, მერგოლურს, ფერმის გამგეს, ხოლო თითო ცალი ინახება კოლმეურნეობის გამგეობაში.

დაგეგმვის ახალი წესის შესაბამისად ბრიგადის, რგოლის და მეცხოველეობის ფერმის წლიურ საწარმოო დავალებებში შეტანილი ცვლილებები საშუალებას იძლევიან ეკონომიური თვალსაზრისით შეფასდეს ამა თუ იმ სახის კულტურის, პირუტყვის წარმოება, შრომის ნაყოფიერება და სწორად იქნას გაანგარიშებული სამუშაო ძალაზე მოთხოვნილება მისი მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის (ბრიგადის წლიური საწარმოო დავალების ცხრილი № 7, რგოლის წლიური საწარმოო დავალების ცხრილი № 6).

* * *

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდებისათვის სამუშაო გეგმები დგება როგორც საერთოდ კოლმეურნეობისათვის, ისე ბრიგადების და მეცხოველეობის ფერმებისათვის.

სამუშაო გეგმას ადგენენ კოლმეურნეობის საწარმოო გეგმის და ბრიგადის და ფერმის წლიური დავალებების საფუძველზე, ამასთან მემინდვრეობის ბრიგადების სამუშაო გეგმები შეთანხმებულ უნდა იქნას კოლმეურნეობის მომსახურე სატრაქტორო ბრიგადის სამუშაო გეგმებთან. მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადების შეთანაწყობილ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობის საწარმოო გეგმის, ბრიგადის წლიური საწარმოო დავალების წარმატებით შესრულებისათვის.

მოწინავე კოლმეურნეობებში გულდასმით ხდება კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადის და მომსახურე სატრაქტორო ბრიგადების სამუშაო გეგმების ურთიერთდაკავშირებულად შედგენა. ზოგჯერ კოლმეურნეობა და მტს-ი ადგენენ ერთიან სამუშაო გეგმას კოლმეურნეობის მემინდვრეობის და მისი მომსახურე სატრაქტორო ბრიგადებისათვის. ეს უზრუნველყოფს საწარმოო პ